

140
1958/3

မြန်မာ့
စာပေ
အကယ်ဒမီ



ဒဲးဂဲးကဲးဂဲး

3

မတ်လ
1958

3-AM363-11
2023-000033



პ ი თ ნ ე რ ი



საქართველოს
მწერთა კავშირი

შ ი ნ ა ა რ ს ი

	33
გ. ძნელაძე—ბელურა და ენძელა (ზღაპარი)	2
ახალი წიგნები	3
ო. დემეტრაშვილი—თბილისის ჩენცე ვაშენებთ (ნარკვევი)	4
მადლობა დედას—(მოსწავლეთა შემოქმე- დება)	7
ა. ბელაშვილი—საშეფოს მედროშე (კინომოთ- ხრობა, დასასრული)	8
ბ. ბარდაველიძე—ველოსიპედი (მოთხრობა) 13	
ა. ბარტო—პეტა ფეხბურთზე (ლექსი, თარგმნა მ. ლებანიძემ)	17
შ. ლარცულიანი—კურსკის გმირები (წერილი) 18	
ტექნიკის სამყაროში	20
გ. ბახტაძე—რაზმის ხელშეღწეული ქარხნიდან (წერილი)	21
ა. ონღლა—სიმღერა საგზაო ნიშნებზე (ლექსი) 22	
აზ-ზუბეირა ალი—პატარა ფეხები (მოთხრობა, არაბულიდან თარგმნა ო. ქაჯიაძემ)	23
ნ. ღვინევაძე—ჩხიკვათა ქორწილი“ (წერილი) 25	
რ. იაშვილი—რძეპარია თიკანი (წერილი)	25
წ. ლეშაშვილი—„მუშეტური“ (ნარკვევი)	26
ფ. ვოლფი—პიტ პიქუსი და თოლია—ლეილა (ზღაპარი, თარგმნა გ. ციციშვილმა)	28
მოკლე დ ყველა ფერზე	31
გასართობი	32
იუმორი (გარეჯანის)	3
გარეჯანის პირველ გვერდზე—„ძიძგი-ძიძგი მამალა!“—ნახატი გიორგი როინიშვილისა; მეორე გვერდზე—„ქართული ლიტერატურისა და ხელო- ვნების დეკადაზე წასვლის წინ“;—ფოტო ო. თურ- ქიასი; მესამე გვერდზე—„ჩხიკვათა ქორწილი“— ნახატი ნ. შალივაშვილისა.	
ყურნალი დასურათებულია მხატვრების: ნ. შალი- ვაშვილის, კ. მახარაძის, რ. ცუცქერიძის, მ. დაუ- შვილის, გ. როინიშვილის, დ. ნახუტაშვილის და დ. ნოღაის მიერ.	

ხაძარცვილოს ალკა
ცნობილი კომპოზის
ქოველთვიური
საპაპრო მონალი

3

მ ა რ ტ ი
1958

რედაქტორი რევაზ მარგანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე,
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, კ. ქორქია,
გ. ფოცხვილი (სამხატვრო რედაქტორი).

გამომცემის ფული
XXXII

ს ა ხ ლ ი ბ ა მ ა მ ი





ბელურა და ენძელა

გივი ძნელაძე

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

1

იწურებოდა ზამთარი,
თოვლი დნებოდა ნელ-ნელა...
ერთი მაღალი ხნის ძირას
თავი ამოჰყო ენძელამ;

შებელა: ზეცა პირქუში
ქვეყანას თავზე ესურა...
უტეხ ენძელას მახლობლად
ჩამოფრთხილდა ბელურა.

სალამი უთხრეს ერთმანეთს,
მოყვანენ:
სად, როდის, ვინ რა თქვა.
ენძელამ ბოლოს ბელურას
ახეთი თხოვნით მიმართა:

— ჩემო კეთილო ბელურავ!
შენ ჯერ ბევრი რამ არ იცი,
რაც შენ არ იცი—მე გეტყვი,
ცოტას თუ კიდევ დამიცდი...

ახლა მიწის ქვეშ ცხოვრობენ
ენძელები და იანი,
იმათაც უნდათ ამ ქვეყნად
ცხოვრება საღისიანი.

იმათაც უნდათ—ტკბებოდნენ
ნათელი ზეცის ყურებით;
წინთვის ეს, ჩემო ბელურავ,
ძნელი არ არის სრულებით:

აფრინდი, მზესთან მიფრინდი,
უთხარი ჩვენი სახელით:

გადმოაშუქოს მიწაზე
უხვი და თბილი ნათელი.

თოვლი დადნება მაშინვე,
ღარი იქნება მზიანი,
თავს ამოყოფენ ხალისით
ენძელანი და იანი.

აფრინდი, ჩემო ბელურავ,
ღმერთი გამყოფებს დღეგრძელად,
მეც გავიხარებ ამ ქვეყნად—
ერთი პაწია ენძელა“.



უეცრად ღვარი მოვარდა,
ბელურა ხეზე აფრინდა,
ღვარმა ენძელა მოგლოა,
შეთამაშა,
დაღლითა...

2

ტოტიდან მოწყდა ბელურა,
მალა აიჭრა ნავარდით,
ცოტალა დარჩა მნძილი
ღრუბლიან ზეცის თალამდი...

გზაზე ბევრი რამ გარდახდა,
სულ გაათურეს ფიფქებმა,
თუ თხოვნას არ შეასრულებს—
რალა ბელურა იქნება!

ღრუბლები მარდად ასჭრა და
მზის სატახტოში მიფრინდა...
მთელი ეს ტურფა ქვეყანა
ბინდებულდად ჩანდა იქიდან.

მზე ტახტზე იჯდა მფურვალ
და რალატაზე ფიქრობდა...
რას იფიქრებდა: ბელურას
მასთან რა თხოვნა მიჰქონდა.

ბელურამ ჰკადრა:
— მნათობო!
შენი სამეფოს კარები
მე შემოვალე, რომ გითხრა
რაცა მაქვს დანაბარები.

მერე ყოველი უამბო
დაკვირვებით და წვრილად...
ღიღი ლხინი და ქეიფი
ერგო ბელურას წილად...

3

სამი თვეა, მზეს და მიწას
ერთმანეთი არ უნახავთ,
ახლა მნათობს ძველიძველი
სატრფოს ხილვა განურჩახავს.

მზემ ისრები მოიმარჯვა,
დატრიალდა, როგორც ჯვარა,
და ღრუბლები ქულა-ქულა
აქეთ-იქით მიმოყარა.

გადმოხედა დედამიწას
დარბაისლურ გაღიმებით.
ვიხაროდეს, დედამიწავ,
გათბები და გაღვივდები!

დნება თოვლი და ტირიფი
სიხარულით ტოტებს აქნევს.

შეერთა ღვარმა ღვარი,
გაღმოეშვა მთიდან თავქვე...

გაბრწყინდა და აცოცხმდა
არე-მარე, მთა და ველი...
— იებო და ენქელბო!
ამოშუქლით, გელით, გელით!

4

თანდათან დატკბა ტაროსი,
მიწაც თანდათან შრება.
ჩიტებმა იწყეს გალობა,
ხეებმა იგრძინეს შვება;



ჰა, ენქელასთან ბელურა,
ჩამოფრთხილდა უცებ,
აღფრთოვანებას ვერ მალავს,
გული შვებისგან უცემს...

— სალამი, ჩემო ენქელა!
ხომ შეგისრული თხოვნა...
კინალამ გადამოიღლა
ღრუბლებში მზისა პოვნამ...

— დიხანს იცოცხლე, ბელურა!
მადლობელი ვარ შენი,
შენა ხარ ჩვენი შიკრიკი,
მსხნელი და გადამჩრენი.

ზეიშის ღღე გვაქვს ენქელბს,
მაგრამ... ერთ რამეს ვღარაღობ:

შენ რომ პირველად გინახავს—
ჩემი და იყო, კარგო.

ამოვედი და მიწაზე
აღარ დამიხვდა იგი...
იმახ—სხენება მარად!
შენ კი—მადლობა დიდი!

ჩაფიქრდა ჩვენი ბელურა,
მგონი რაღაცას მიხვდა...
დაჯდა ტოტზე და იქიდან
ცხარე ცრემლს ღვრიდა დიღხანს...

5

აჩუნჩუნდა ნაკადული,
გაღამწვანდა მთა და ველი,
ხეები და ტაფობები
ამოიფხო შუქნათელით,

გახალისდა არე-მარე,
ღარია და, რა ღარია,
მზე აშუქებს ფართო მინდვრებს
ბაღიანს და ვარდნარიანს.

გამარჯვდა გაზაფხულმა!
გაზაფხული რა კარგია!
მისი კაბა მზის სხივებით
ნაქსოვი და ნაქარგია...

6

კობტა ბილივზე სიმღერით
გოგო-ბიებში მიდიან,—
მიდიან, მითამაშობენ,
ხელებს მზისაკენ იწვლიან;

ხელში იები უჭირავთ,
მიდიან, მიუხარიათ,
აღარც ის დიდი თოვლია!
აღარც ის ცივი ქარია!

მწეა და მისი სითბოა!
მწეა და მისი ფერია!
გახარებული ბავშვები
სკოლისკენ მიიმდერაინ...



«საბლიტგამის» მიერ უკანასკნელ ხანს გამოცემულ წიგნებს შორის ბევრი საინტერესო წიგნია.

სამოქალაქო ომის ქარიშხლიან დღეებს, საბჭოთა ადამიანების თავგანწირულ ბრძოლას ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, ლეგენდარული ჩაპაევის სახეს გვიხატავს დ. ფურმა-ნოვის წიგნი «ჩაპაევი», რომელიც საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია.

«80.000 კილომეტრი წყალქვეშ», ისევე, როგორც ჟიულ ვერნის მრავალი სხვა ნაწარმოები, დიდი ინტერესით იკითხება. კაპიტანი ნემო, წყალქვეშა ნავი «ნაუტოლიუსი», დედამიწის ირგვლივ საოცარი მოგზაურობა—ოცნებით აღაფხვებს ნორჩი მკითხველის გონებას. ჟიულ ვერნის ეს წიგნი მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის და თარგმნილია მრავალ ენაზე.

ს. მიხალკოვის «ძია მიხი», რომელიც ქართულად ირაკლი აბაშიძემ თარგმნა, საინტერესო საკითხავი იუმორისტული პოემაა. ამ პოემის პირველი ნაწილი ადრევე გამოცემა ქართულად. ავტორმა დაწერა მისი გაგრძელება «ძია მიხი—მღიღიგელი». ამჯერად პოემა მთლიანადაა გამოცემული.

დასასრულ, ჩვენმა სულ პატარა მკითხველებმა კარგ დასურათებულ წიგნად მიიღეს ძია შოის რამენიურ ლექსი «ცელქების» სახელწოდებით.



ხვეზ პაპუნაბო!

საქართველო
საბჭოთაო



ებოლის

დიდანს გასცქეროდა მერაბი ფართო პროსპექტზე. ფეხმარდად მიმავალ თანატოლებს, მერე ისევ აივანზე ჩაიზულა და ტყავის გარღვეულ ბურთის დაუწყაო წვა-ღება. „მოდი და ნუ გაგეციანება!—ფიქრობდა საქმეში გართული მერაბი: რამდენი ხანია მერჩინება ღვდაჩემი აივნის მოყანაყალბებული რიკულები მიპაქედო. ამისთვის ვერ მომიცლია, კოტე და რეზო კი დამდგომიან და ორმოკბინიანი სახლის ასაშენებლად მეპატიებებიან: „გინდა თუ არა, წამოდი, უფროსებს შევაშველოთ ხელიო...“

ნათელი კვირა დილა იდგა თბილისში. ფეხმარდად მიუყვებოდნენ ქუჩის ტკბილ მასალათში გართული კოტე და რეზო.

— შეხედე, ბიჭო!—წამოიძახა კოტემ და მარცხენა ილიაში ამოჩრილი წინსაფარი ახლა მარჯვენა ილიაში მოინაცვლა.—შეხედე-მეთქი, ჩვენი სკოლის გოგო-ბიჭები უკვე შეკრებილან და საცაა მუშაობასაც შეუდგებიან.

— გავიქცეთ!—საბასუხოდ მაშინვე გელაგზე შევფლო ხელი რეზომ.—მერაბთან საუბარმა შეგვიყოლია, თორემ ჩვენც მოვიდოდით დანიშნულ დროზე.

კომინტერნისა და პავლოვის ქუჩის თავშესაყართან, სადაც მხარდაშპარ მიჯრილან ხარაჩომოვლებული შენობები, პიონერებს მოეყარათ თავი. მკლავებდაკაპიწებული დაფუსფუსებდნენ მავშვებო მშენებლობის გარშემო და მზიარული შეძახილებით ახმაინებდნენ გარემოს.

— აგერ, სწორედ ისე რანდავენი ფიცრებს, როგორც გიორგი მასწავლებელმა აგვიხსნა სკოლის სახელსონსოში.

— აი, ეს თავბოძალია, ბიჭებო!

— ეს კიდევ მსხვილი ბლოკების ამწე მექანიზმი!—ყოველ მხრიდან გაისმოდა შეძახილები.

გურამ ნოზაძეს უკვე მოეცწრო ხინიდან საგულდაგულად წამოღებული წინსაფრის ავერა და უკმაყოფილო სახით ეუბნებოდა თანატოლებს:

— ექსკურსიაზე ხომ არ მოვსულვართ, ბიჭებო! აბა, როდისღა უნდა დაიფიქოთ მუშაობა!

თითქოს გურამის სიტყვებს უცდებოდა, ახალგაზრდა ინჟინერმა ტაშის შემოკვრით მიიხმო ბავშვები და ლიმილით წამოიწყაო:

— ახლავ ყველას გიშოვით საქმეს... აბა, პირველო მერცხლებო, თქვენი იცით, როგორ ისახელებთ თავს! თქვენ ხომ პირველი პიონერები ხართ, რომლებმაც თბილისელი მშენებლებისადმი დახმარების გაწევა გადაწყვიტეთ...

რა თქმა უნდა, სცდებოდა პატიცემული ინჟინერი! თბილისის მშენებლობებს ყველგან ყიყინით შესეოდნენ მოსწავლეები. კომკავშირის მოსკოვისა და თბილისის

— მერაბ, ეჭვი, მერაბ!—შორიდანვე გასძახეს ბიჭებმა აივანზე მოფუსფუსე მერაბს.

— რა იყო?—მაშინვე დაინტერესებოთ შეხვნიანა მერაბი.

— დაგავიწყდა!—გაოკრებით გადახედეს ერთმანეთს განაწყენებულმა ბიჭებმა.—ხომ იცი, დღეიდან უნდა დავიწყოთ მუშაობა.

— პოო,—ახალადა გაასხენდა მერაბს პიონერთა შეკრებაზე წინა დღით მიღებული გადაწყვეტილება, გაასხენდა და უკმაყოფილო ბუზღუნით მოიქექა ზღარბივით აბურძანული ქეჩო. მერე თვალმოპუტვით გახედა რკინის მესკერთან ჩამომდგარი ბიჭებს. და სვენებ-სვენებით ჩაიდუღუნა:

— იცით რა, ძალიან მინდოდა სამუშაოდ წამოსვლა, მაგრამ მაშინდარემის სანახაოდ უნდა გავიდო გულმა... ორი თვე იქნება, არ მინახავს...



საქალაქო კომიტეტების მოწოდებას, მშენებლებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, დიდი კმაყოფილებითა და მოწონებით შეხედნენ პიონერები. ბევრ სკოლაში განიხილეს ეს საკითხი და ერთხმად შეთანხმდნენ ბავშვები, რომ თავიანთი წვლილიც შეტანათ მშობლიური ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში.

— მიმდინარე წელს 1500 წელი უსრულდება ჩვენი რესპუბლიკის დღებულაქს. ჩვენ გვინდა თბილისის შენეობა რიგგეზში ვიყოთ! — ასეთი იყო თბილისის 66-ე სკოლის პიონერ-მოსწავლეთა გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება სულ მალე საქმედ იქცა და, მუშაობის დაწყებიდან ვერ ორიოდვე კვირა არც იყო გასული რომ, 66-ე სკოლის მოსწავლეებმა თავიანთი მუყაითი შრომით უკვე დაიმსახურეს თბილისელ მშენებელთა საერთო მოწონება.

თბილისის სხვადასხვა უბნის მშენებლობებზე 66-ე სკოლის 17 მოსწავლემ ისახელა თავი. მშენებელთა მიერ დაკისრებულ სამუშაოებს ყოველთვის გულმოდგინედ და გადაპარებებით ასრულებდნენ მოსწავლეები: ვლადიმერ ულიანოვი, სერგეი კაქტიში, დიმიტრი დარასელია, ალექსანდრე ცერცვაძე, თემურაზ ტაბიძე, ქეთევან მანჯგალაძე და სხვები.

66-ე სკოლელს არც თბილისის 62-ე სკოლის მოსწავლეები ჩამორჩნენ. ამ საკითხის მოსაგვარებლად მათ რაზმუელის სპეციალური შეკრება მოიწვიეს. ბავშვებმა ერთხმად გადაწყვიტეს რაზმების მიხედვით დაეწყათ შორიკობა და სკოლის მახლობლად მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში მოხმარებოდნენ მუშებს.

ამის შემდეგ ერთი დღეც აღარ დაუკარგავთ პიონერებს უქდა. ცისმარე დილით ხმაშეწყობილი სიმღერებით მიეშურებოდნენ ხოლმე ხარაჩოვრებულ მშენებლობისაკენ.

— მოდიან. ჩვენი პატარა მეგობრები მოდიან! — შორიდანვე ესალმებოდნენ სიმღერით მომავალ პიონერებს მშენებლები.

— ისარეთ. შვილებო! დაგელოკოთ მარჯვენა! — სიყვარულით ლოკავდნენ შუბლგაიფილი მუშები საქმიან ფუსფუსში გართულ ბავშვებს.

— ვანო, ათევიზ. ნოდარ, იქვენი ქვეები გაზიდეთ. — დავალეებებს აძლევდა ბავშვებს საშუალოს მწარმოებელი ბორის მესხიშვილი. — თქვენ აფურები გადაწყვეთ.

— ჩვენ ქევისი გადმოტვირთვაში მივებმარებით მუშები!

— ჩვენ — დუღაბის ვაკეთებთაში!

— აბა, დავტრიადღეთ! — გაისმოდა შეტახილები და ბავშვები ცხარეუტვით ტრიალებდნენ.

— ცოტა საქმეს როდი გვიკეთებენ ეს დალაკვილები! — გვეუბნებდა მშენებლობის ათისთავი რაფდენ ენუქიძე. — შორიხარისხივანი საშუაოების შესასრულებლად წინათ დიდი დრო გვეკარგებოდა, ხშირად არც მუშახელი გვეყოფნოდა ხოლმე... აბა, ახლა შეხედეთ ჩვენს პატარა მეგობრებს, მოხედვასაც ვერ მოასწრებ — უკვე მოთავებული აქეთ საშუაო...

წინსაუბრა აკრული პიონერები ყოველმხრიდან შესცივან უზარმაზარ ტერაქტორიაზე გაშლილ მშენებლობას. აქეთ ლ. ლონატი. თ. ნაღარევიშვილი. თ. გოგონიშვილი. ი. სიგუა. დ. დონიაძე. გ. დაუშვილი და ო. ტალიაშვილი აფურის გადახიდავაში ეხმარებიან მუშებს. იქით კიდევ, მისაღვამ გზას ასუფთავებენ: მ. გიქია. გ. კარეულიშვილი, მ. ნონიაშვილი, გ. დაუშვილი; თ. ალექსიძემ და ნ. კარტაშიამ ქევისი გაკარში გაიწაფეს ხელი. ე. გულბათიაშვილი. თ. დეკანოზიშვილი და ზ. ჯებიშვილი კი ერთთავად კალატოზებს დასტრიალებენ თავს და დღუღებით სავსე ვედროებს ეხილებიან მათთვის.

დაფუსფუსებენ პატარები და დღითიღვე მალდებდა საცხოვრებელი სახლების ახლადამოყვანილი კედლები. სისხარულითა და სიამაყის გრძნობით ეცხებთ ბავშვებს გული. რომ ამ მრავალსართულ დანი სახლის მშენებლობაში მათაც მიუტღვით მკორეოდენი წვლილი.

აი, საცაა ზემო საბურთალოსა და ვაკის ლარკივით გასროლილ პროსპექტზე კოპწია პატარძლებივით ჩამოდგებიან ეკლარისა და ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული სახლები. ოჯახური სიტკბო და სვეტმენიერი ცხოვრება დაისადგურებს ახალგებულ კოხტა და ნათელ



მშენებელი პიონერები (ზევიდან ქვევით): ვანო დეკანოზიშვილი, მანანა ფთილაშვილი, თამაზ გოგონიშვილი, მარინე ნონიაშვილი და თემურაზ ალექსიძე.

ბინებში—აი, იმ ბინებში, გამოცდილი მშენებლების მხარდამხარე ასე მონღოლებითა და გიტაცებით რომ აშენებდნენ თბილისელი პიონერ-მოსწავლეები.

შრომისა და საქმის სიყვარულმა ისე გაიტაცა პატარა მშენებლები, რომ შინ და გარეთ ცუდბრალოდ ევრა და ველორ გაუჭრდებთან ხელი. თავისუფალ დროს ხან სამტრედიასა და საქათმეებს აშენებენ სკოლაში, ხან მერხებსა და სხვა დაზიანებულ ინვენტარს არემონტებენ, ხან კიდევ აიენის რიკულებსა და კიბის დაზიანებულ საფეხურებს რადავენ.

— მე მშენებელი უნდა ვავხდეთ!—გვეუბნება ხუთოსანი პიონერი ზურაბ დათიკაშვილი და ოცნებაში წასული თვლებით გასტყერის სივარცეს, მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ღიმილით დასძინს:

— არა, მარტო მე კი არა, ომარს, მზიას, ცისანასა ნოდარსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მშენებლები გამოვიდნენ.

ისევ ნათელი კვირაილა იდგა თბილისში. ვაკის ერთ-ერთ ახალმშენებლობაზე ისევ ხალისიანი ქრიამულით შრომობდნენ პიონერები.

— სტუმარი, სტუმარი მოგვადგა კარზე!—მოულოდნელად წამოიძახა ხარაზოზე შესვლებულმა კოტემ და ეშმაკური ღიმილით გადმოხედა ამხანაგებს.

თვითდამცელი მანქანებით გაუძელი გზას ფრთხილად მოიკვლევდა წამოწითლებული მერაბი. როგორც კი მკლავებდაკაიწებულ ამხანაგებს შეაგლო თვალი, მაშინვე ნაბიჯი შეანელო. თითქოს რაღაც ჩასწყდაო, ყრუ ტკივილი იგრძინო გულში. ასე არასდროს მოსდომებია მეგობრებთან ყოფნა, მათთან შრომა და ტრიალი; მაგრამ, დამორცხვებული, ფეხის ვადადგმასაც ველორ ახერხებდა. იდგა მერაბი და ყურში ისევ ჩაესმოდა კოტეს დაკინებით ნათქვამი სიტყვები: „სტუმარი მოგვადგა კარზე“.

— რა იყო, მერაბ, დღესაც მამიდას სანახავად ხომ არ აპირებ ვალბა გასვლას?—არ ისვენებდა ხარაზოზე შესვლებული კოტე.

მანქანასთან მოფუსფუსე პიონერებმა მწყურალად გახედეს კოტეს და მაშინვე შეოებებინ წამოწითლებულ მერაბს.

— რა თვა-პირი ჩამოგტერის, ბიჭო!—მხარზე მოუტათუნა ხელი რგოლის ხელშეძლავნებმა,—ალარ იტყვრა მოგივიდა?!

— არაფერიც არ მომივიდა!—ოდნავ გასაგონი ხმით ჩაიღუდუნა მერაბმა, მერე, თითქოს რაღაც გადაწყვეტაო, მოწყვეტით ჩაიქინა ხელი და სახეში შეატყრდა პირომომომარ თანატოლებს.

— მეც სამუშაოდ მოვედი...—ცოტა ხანს შეისვენა, შუბლზე მოისვა ხელი და კიდევ უფრო გაბედული ხმით განაგრძო:—შინ მოსაცდელია ალარ მიდგება გული... ყველანი სამუშაოზე დიდხარით, მე კი... ჰოდა მოვედი, რომ მეც მშენებელი ვავხდე...

— ჩემთან ამოდი, მერაბ, ჩემთან!—ხელების ქნევით ეპატყებოდა თანაკლასელს გახარებულ კოტე,—ერთოდ მივაწოლოთ მუშებს აი, ეს ვედროები!

მალე რომელიღაც პიონერმა სიმღერა წამოიწყო, ნელ-ნელა ყოველი მხრიდან აკუნენ სიმღერას და კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და ხალისით შეევიდნენ საქმეს მშენებლები.

შრომობენ პატარა მშენებლები და გულები სიხარულითა აქვთ სავეც: „თბილისს ჩვენც ვაშენებთ!“—სიამაყით ამბობენ ისინი. ან კი რად არ იამაყებენ, როცა საყვარელი დედაქალაქის მშენებლობაში თავინით წვლილიც შეაქვთ და ნიშნების ფურცლებიც „ოთხებითა“ და „ხუთებით“ აქვთ აქრლებული.

მ. ლეშაბაშვილი
ფოტო მ. გოჭაძისა



ახეთ სურათს ხზირად ნაბათ თბილისის მშენებლობაზე



დედას!

დედას!

ჩემს დედისს მე მივუძღვნი
ამ ლექსს მთელი ჩემი გულით.
მსურს, რვა მარტი მივულოცო
წყვილების თაიგულით.

ჩემი დედა გემიმა,
ავადმყოფებს უშლის, კურნავს:
წველასათვის, ყველასათვის,
როგორც დედა, შრომობს, ზრუნავს.

და მეც მსურს, რომ ეს ამაგი
გადეხალო უფრო მეტად
და სამშობლო გავაზარო
ჩემი ცოდნით, კარგი დედა!

იაკოლ ქართველივილი,
თბილისის 23-ე სკოლის V
კლასის მოსწავლე.

რვა მარტი

კლასში აღმზრდელს თაიგულით
მივგებნენ მალხაზები
და რვა მარტი მიულოცეს
სიყვარულით, ალტკეზებით.

ფრთა შეასხა მასწავლებელს
ამ შეხვედრამ, მარტის დღივთ,
და მადლობის წმიდა გრძნობით
გაუღიმა ბავშვებს ტებილად.

ვახტანგ გამეზარდავილი,
მაიაკოვსკის რაიონის სოფელ
ვარციხის საშუალო სკოლის
VIII კლასის მოსწავლე.



ბილი თბილისის ბოტანიკურ ბაღში—ნახატი მის-
წველ ნ. ჩოჩიახი.

ამიტომ მიყვარხართ!

მოვიდა რვა მარტი. ჩემი ტოლები ამ
დღეს ულოცავენ დედებს, დებს, მიაქვთ
მათთვის საჩუქარი. მე კი, თქვენ გილოცავთ,
დეიდა მარო. ვაკის საბავშვო სახლში ვის
არ უყვარხართ თქვენ—დამზრდელი ქალი,
მარიამ ფადავა, მუდამ თავს რომ დაგვტრი-
ალებთ პატარებს, დედურ სიბიბის რომ არ
გვაკლებთ. მახსოვს, ერთხელ სკოლიდან
სუსტი ნიშანი მოვიტანე, როგორ შეწუხ-
დიო!

იმ დღეს დიღხანს ესაუბრეთ ჩვენს სა-
ბავშვო სახლის უფროსს პიონერსელმძღვა-
ნელს—თამარ ბახაკაშვილს. იხივ სომ თქვე-
ნი გაზრდილია! მეტე თამარი მოვიდა ჩემთან,
წიგნი გადამიშალა და იმდენი გვიცადეთ,
რომ სუსტი ნიშანი მალე გამოვასწორე, რო-
გორ გაიხარეთ მაშინ, დეიდა მარო!

აი, ამისათვის მიყვარხართ, ჩემო გამზრ-
დელი!

ვახილ კობიაშვილი,
ვაკის საბავშვო სახლის აღსაზრდელი.

სამეფოს ქვეყნის

ქ ი ნ ო მ ო ტ ს რ ო ზ ა *

პირმოკმული და დაფიქრებული ზის ერეკლე თავის კარვის წინ, იქვე დგანან სარღლები. მათ, როგორც ეტყობა, თათბირი ახლახან დაუმთავრებიათ.

ერეკლე თავი აიღო და მიმოიხედა:

— დულაბა!—დაიძახა მან.

— აქ გახალაურ, მეფევ.

— გაშალე დროშა, მივიდივართ!

სარდალმა ორბელიანმა მოწიწებით თავი დახარა და მოახსენა:

— კიდეც ერთი დღე მოგვეცადა, მეფევ. ორიათას ხუთასი კაცით აზატ-ხანს როგორ შევებთ? მას ორმოცდაათათასიანი ჯარი ჰყავს. იქნებ კიდეც მოვიდნენ ჩვენი ჯარები!

— არა! მეტი დაყოფენა შეუძლებელია. აღარავინ მოვა. ჯობს, მტერს ჩვენი ქვეყნიდან. მოშორებით დავუხვდეთ და, თუ დავმარცხდით, ხალხი გაიხიზნას მინც მოასწრებს მთებში.

— მეფევ, როდესაც მუცალ-ხანზე ვლაშქრობდით, მაშინ ჩვენი და მისი ჯარი თანატოლი იყო. მერე პაჯი-ჩალბი დავგეხსა თავს, ორჯერ მეტი ჯარით. ისიც ვძლიეთ. მერე ალა-ქიმიც, ოთხჯერ მეტი ჯარით. ღვთის მადლით, ისიც ვძლიეთ. მერე იმამყული-ხანი, ათჯერ მეტი ჯარით. ვძლიეთ, მაგრამ ჩვენც ძლივს ვადგურჩით სიკვდილს. ახლა აზატ-ხანი ოცჯერ მეტი ჯარით ზოდის ჩვენზე. რა უნდა დაეკლოთ ამ ერთი მუჟა ლაშქრით ამოიღნა მტერს?!

ერეკლე შედგა, მოიხედა, დულაბას ზურგა დაიჭირა:

— შენ რას იტყვი, დულაბავ?

— მე, შენი ქირიმე, იმას მოგახსენებ, რაც ხალხს უბრძანებია:

«გაგვიჰებ მეფე ერეკლევ, მუხლი მიიბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო».

— სწორია, ჩვენ რომ აზატ-ხანს ახლა ზურგი ვუჩვენეთ, დავეწევა და უარესად წავგვხდნს. წავიდეთ, ვენახოთ, იქნებ კიდეც ივარგოს ჩვენმა მახვილმა...—ამბობს ერეკლე.

დულაბა მოველო ცხენს და გაშალა დროშა.

გაისმის ბუკის ხმა.

აიშალა ქართველთა ლაშქარი.

შესხდნენ კახელები ცხენებზე. მათ მოკლე ჩოხები

აცეით, ნაბდის ქულები ხურავთ და თოფები ჰკიდიან. შესხდნენ ცხენებზე ცხვრისქუდიანი თუშები.

ფშავლები და ხევსურები ცხენებს მოველენ თავიანთი ჯაჭვის პერანგებით, ფარ-ხმლით და თოფებით.

დამირა ერეკლეს ჯარი.

რა მცირე მოჩანს ქართველთა ჯარი აზატ-ხანის უთვალვე ლაშქართან შედარებით.

* * *

მოჩანს ყარაბულახის დიდი მიწდორი, სადაც დამანავებულია აზატ-ხანის ლაშქარი.

ბანაშკი საოცარი გამოცოცლებია. მომალელებულ ბეჭობზე შემდგარი აზატ-ხანი, თავის სარღლებით გარშემორტყმული, ქვარით გასცქერის ქართველთა ბანაკს.

— ეს არის ერეკლეს ჯარი? ეს ხომ ერთ ლუგმად არ გვეყოფა!

გარშემო ისმის თავშუუკავებელი ხარხარი.

— მე ახლა იმაზე ვფიქრობ, განა სკადრისია, ასე მცირე ჯარს ამდენი ჯარით შევებთ? უმჯობესია მუსახანს დავავალოთ მისი მოსპობა...

— დიიცი, ეს რა არის?...—წამოძიხა ერთ-ერთმა სარდალმა.

ყველამ ვაფაციცებით გაიხედა ქართველთა ბანაკისაკენ.


* * *

ქართველთა ბანაკი. ერეკლე თავის ოთხრიგად ჩამწყრივებული ჯარის წინ ღვას და მას სიტყვით მიმართავს:

— შეიღწო და ძმანო ჩვენო, არ შეგაშინოთ მტრის სიმრავლემ, არა ჩემი განდღეობისათვის მინდა დავღვარო თქვენი სისხლი და არცა სიმდიდრის მოშობისთვის. მხოლოდ ჩვენის ქვეყნისა და ხალხის დასაცავად მიმეყებხართ თქვენ ამ ბრძოლაში. გაისხენეთ ჩვენთა დიდებულ წინაპართა სახელოვანი საქმენი, გაისხენეთ მეფის გიორგის გამაჩვენება ყანდაგარში, ოღეს მან ერთი მუჟა ჯარით დაამარცხა მტრის ურიცხვი ლაშქარი. ყიზილბაშებმა იციან ჩვენი მამა-პაპის სახელოვანი საქმენი და ისიც იციან, რომ თქვენ ამ მამა-პაპათა მემკვიდრენი ხართ...

ღუმელით უსმენს ჯარი. უსმენენ გრძელუღვამიანი, ჩაფხუტიანი მეომრები. ახლადღვამაყრილი ჰუბუკი მხედრები. ერეკლე კი განაგრძობს:

* დახასრული. დახაწუხი ის. „იონიანა“ №11 1 და 2.



— შეილებო, ყური მიგდეთ და ისმინეთ რჩევა ჩემი! სანამ მე არ გავიხვრი დამბაზას, არც ერთმა არ გაბედოს თოფის სროლა, თუნდაც მტერმა შუბი გულზე მოგაბჯინოს. როდესაც ჩემი დამბაზა დაიჭუბებს, მხოლოდ მაშინ ჰკიდეთ ხელი იარაღს. მაღალი ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

გადისახა პირჯვარი ყველამ.
მოკიდა სადავეში ხელი თავის ცხენს ერეკლემ და ნელი ნაბიჯით წავიდა. ასევე მიჰყვა ჯარი. ყოველ მხედარს სადავით მიჰყავს ცხენი და ლარივით გაქიმული მწკრივები ნელი ნაბიჯით, რიგების შეუმღვლელად მიიწევენ წინ.

* *

— ეს რა ამბავია?—გვითხება გაოცებული აზატ-ხანი თავის სარდლებს.

— ეტყობა ერეკლე-ხანს გადაუწყვეტია ტყვედ დაგვანდეს.—ამბობს მუსა-ხანი.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა.—ამბობს აზატ-ხანი და განკარგულებას იძლევა:—უსუფ-ხან, შენ მარჯვნიდან დაუარე შენი რაზმით. ნადირ-ხან, შენ მარცხნიდან. ერეკლე-ხანი ისეთი ძაღლია, მაგას ნუ ვენდობთ!

და აი, დიდრა უსუფ-ხანისა და ნადირ-ხანის რაზმები. ისინი მარცხნიდან და მარჯვნიდან უვლიან ერეკ-

ლეს ჯარს, რომელიც კვლავინდებურად იმავე წელი ნაბიჯით უშფოთველად მიიწევენ წინ და, მართლაც, შეუძლებელია არ იფიქრო, რომ ისინი ტყვედ დანებებას აპირებენ.

— არა, უეჭველია ტყვედ გვანებდებიან,—ამბობს აზატ-ხანი,—კვივინად იქცევა. ჩათრევს ჩაყოლა ჯოზბაიო. სიცოცხლე მიანი წერჩება, თუმცა... თვალბს მიანიც დავხორი.

— მზისდარო, ერთი თხოვნა მაქვს,—დაეშვა აზატ-ხანის წინ ერთი დიდებულთავანი.—ერეკლე-ხანი ჩემი მოსისხლეა. ნება მომეცი ჩემი საკუთარი ხელით დავატყვევო და მოგართვა გაბაწრული, მომანივე ეს უდიდესი ბედნიერება...

— კარგი, თანახმა ვარ!—ღმილით დაეთანხმა აზატ-ხანი.

— დიდებული წამოიჭრა. მოველო ცხენს და მაშინვე ერეკლეს ჯარის მიმართულებით გაქუსლა. ისინი კი კვლავ მოდიან წინ ნელი ნაბიჯით.

აი, დაუახლოვდა დიდებული და დიდძობა:

— ჰეი... რომელია თქვენს შორის ერეკლე-ხანი?

— მე ვარ.—გასცა პასუხი ერეკლემ.

დიდებული ჩამოხტა ცხენიდან, სადავე მიაგდო და გამოეშურა ერეკლესაკენ. მიუახლოვდა და, ის იყო მოეშადა უზრდელად ეტაცნა მისთვის ხელი, რომ ამ დროს

ერეკლემ მოიხედა, დღუბაბს მზერა დაიჭირა:—შენ რაღას იტყვი დღუბაბე?



ერეკლეს დამბაჩამ დაიქუხა და თავგანწირული, უკუშო
დიდებული ადგილზე ჩაიკეცნ.

დაიქუხა ქართველთა ორიათასმა თოფმა.
მოიცილა მოულოდნელად რამდენიმე მწყრივი.

— ჰაა მაგ წუწკებს!—დაიქუხა ერეკლემ და ელვის
სისწრაფით მიველო ცხენს.

ასევე ელვის სისწრაფით მიველენ ცხენებს ქართველი
მხედრები.

იგლებს მათმა ხმლებმა და გაეჭინენ ქართველები
მტრის ჯარისკაცენ.

აირია ყიზილბაშთა რიგები. წინანი შებრუნდნენ თა-
ვის საშველად და უკანებს დაეჭერნენ. გონს მოსვლაც
კი ვერ მოასწრეს, ისე გაარღვიეს მათი რკალი ქათ-
ველთა ნეონგრებმა და შეუბრალებლად დაუწყეს ჩეხვა
მოწინააღმდეგეს.

იფრინეს ეს ზღვა ჯარი. მისდევენ ქართველები, უწ-
ყალოდ ჩეხენ მტრის ჯარისკაცებს.

იბრძვის თავის ჯარისკაცთა გვერდით ერეკლე.
იბრძვის ღულაბა, რომელსაც ეკად ხელში დროშა
უჭირავს და მეორე ხელში—მახვილი; უწყალოდ ცელავს
მტრის ჯარისკაცებს.

აი, წამოებარა ერეკლეს მოულოდნელად მტრის მეო-
მარი. წუთი და, მისი ხმალი შუაზე გაჰკვეთს მფეფს.
მაგრამ ამ დროს ღულაბამ გზა გადუქრა და ყიზილბაში
შუაზე გაჰკვეთა.

* * *

აზატ-ხანის ბანაში წარმოუდგენელი ალაქოთია. ყვე-
ლა თავის საშველად გარბის—თვით აზატ-ხანიც კი დაა-
ციწყდათ.

— ჩემი ცხენი! მომგვარეთ ჩემი ცხენი!—ხრიალბებს
აზატ-ხანი, მაგრამ მისთვის არავის სცალია.

ბოლოს რომელიდაც გაქცეულ მემომარს შემოუჯდა
უკან ცხენზე და გაეუტლა სხეუბთან ერთად.

გარბის და გარბის ჯარი.

მხედრის მოლოდინში, მიწას ტორებსა სცემს აზატ-
ხანის ცხენი.

აი, მივარდა მასთან ერთი ჯარისკაცი, უნდა რომ
მოველოს, მაგრამ წამოყვია მას ქათველი მხედარი,
ხმალი თავი გაუპო და ყალყზე შექმდარ ბედაურს სა-
დავეში სწვდა.

ბრღვიანულ ბედაური, მაგრამ აი, ვადაუტარებს მას
თავზე სადავე და მოველო უნაგირს ახალი მხედარი. ეს
ერეკლეა.

* * *

ქალაქის ბუქების გარეთ, გამარჯვებულ აზატ-ხანის
მოლოდინში, ურჯულთა თითქმის მიელი მოსახლობთა
გამოფენილა. ყველაზე წინ დგანან სახეიზოდ მორთული
დიდებულეში და სოვდაგრები. იქვე მსახურებს ხელში
უჭირავთ საგანგებოდ გამზადებულ ძვირფასი საშუქრე-
ბი. ცალკე, ვადაბურულ ტაბრეკანში ზის მორთულ-
მოკაზმული და ჩაღრჩამოფარებული მზექალა.

ქემიკიბაში, როგორც ეტყობა, შეხვედრის წინას-
წარ რეპეტციას ატარებს და ჩახლჩილი ხმით იძიხის:

— მაშ, დაიწყეთ! გამომნდება თუ არა ჯამარჯვე-
ბული აზატ-ხანი, წინ წამოვლენ დიდებულეში... შემდეგ
სოვდაგრები... არა, დაცია, აგრ არა. ყველაზე წინ
წყავლენ მსახურნი საშუქრებით... აი, ეს ტაბრეკანი
ასე წამოიღოთ... ყველაზე წინ წადგება მეღიქი და მი-
ახსენებს... დიდებულო მზეო და ღმრთისა სწორო აზატ-
ხან... მიიღეთ ეს მცირე საშუქარი...

— დიდებულო მზეო და ღმრთისა სწორო,—მიეო-
რებს მეღიქი.—მერე... მერე მითხარი.

— მიიღეთ ეს მცირე საშუქარი...

იქვე, შორიახლოს დგას ტყვეებით მოვაპრე ალა და
შინარხე დიდებულს ეუბნება:

— მე საგანგებოდ გვრძახენ ჩემი ტყვექალი საარაკოდ
მოერთოთ და მოგაკაზმათ, ძვირფასი საშუქრებით შეე-
კოთ.

— არ ძვირფასი საშუქარს მიიღებს აზატ-ხანი!—გულ-
დაწყვეტით ამბობს დიდებულო.

— ოღონდაც ერეკლე-ხანს ბოლო მოუღოს და მიველ
ქონებას აზატ-ხანისთვის არ დავიშურებ. რაც ის სა-
ქართველოს შეფე გახდა, სულ ზარალში ვარ. წინაი,
წელიწადში, სულ ცოტა, ათას სულ ტყვეს მაინც გავ-
ყიდი. მიველი მპარსეთი სულ ჩემი საუკეთესო საქონლით,
ტყვე ქართველებით იყო სავსე. ახლა, ხუთი წელია, ეს
ერთი ქალი მყავს ტყვედ და ისიც ვერ გაყვილი.

— ეჭვ, შეხედ, მოდის მზარაობელი!—ამბობს დი-
დებულო და მისკენ მოჭეკოვავ მხედარზე ამოშენს.

მარალაც ყველამ შენიშნა, რომ ვიღაც მოაქენებს
მათვენ ცხენს, და ატყდა მზიარული ყრიაშული.

— დიდება აზატ-ხანს!

— გაუმარჯვნია ჩვენს მგრძახებელს!...

— აინთეთ შუშუხენები!...

— ჰკათ ბუკი და ნალარა!

მაგრამ მზიარულ ყრიაშულში მათ საკმაოდ მოგვი-
ანებთ მხედრებს, რომ იმ ერთ მხედარს თხუთმეტობდ
სხვა მხედარი მიჰყავდა და, როდესაც ისინი ქალაქის ბუქ-
ებს უნდა დაახლოვებოდნენ, ამ დროს გვერდთან ამო-
იჭრა ქართველთა რაზმი, და გაქცეულმა გუნდმა მხო-
ლოდ ისლა მოასწრო, რომ მოსახლებებს გასძახა:

— თავს უშველოთ!

— ციხის კარი ჩაქვეტეთ!

— დავიღუპეთ!

გაქცეულებმა გვერდი აუქციეს და სხვა გზით გაჰ-
ქუსლეს.

ხალხი აზრილიდა, ქალაქის კარიბუქს მიიწყდა. შეი-
ქნა ერთი წყვეტა. ყველანი ერთმანეთს უშლიან, შიგ-
ნიდან მეციხოვნენი ცდილობენ რკინად კარის ჩაქვეტას,
მაგრამ ამაოდ—აქედან მიწოლილი ხალხი ჩაქვეტის სა-
შუალებას არ აძლევს.

სოვდაგარი ქველზე მუქუქულთა მიწოლილ ხალხს
და ის თავგანწირვით ხრიალბებს:



დულაბა მიუხელოვდა, წელა მიხწვდა ქალს და ჩადრი ახადა. მის წინ დგას ცრემლით თვალღანამული მშექალა.

— მისხნით და მთელ საცხოვრებელს თქვენ მოგცემო...

მოულოდნელად ხალხი გაიფანტა. სოვდაგარმა ჰუსეინმა შვებით მოითქვა სული და იმ მხარეს გაექანა, სადაც ჩადრიამოფარებული მშექალა ეყენა მსახურებით გარშემორტყმული.

ხელავს სოვდაგარი, რომ მშექალა მარტოღმარტო დგას ტახტრეიანში და უცქერის ამ ალიაქოსს. მსახურებს ტახტრეიანი მიუტოვებიათ და გაქცეულან.

სოვდაგარი მივიარდა მშექალას, მაჯაში ხელი ჩაავლო და ეხიღებდა, უნდა ციხის გაღაღანში შეითრიოს. მშექალას არ ესმის რა ხდება, ვინ ოპობს, ამიტომ შეშინებული მიჰყვება სოვდაგარს.

ამ დროს, მოულოდნელად ერთი მხედარი წამოეწია სოვდაგარს და ხმალი გადააწნა ზურგზე.

სოვდაგარი წაკოტირიალდა. მშექალამ შიშით აიფარა

თვალეზე ხელი. მაგრამ უეცრად მოესმა ქართული შეცხილი:

— ჰაი, შე წურბელა, მოგხვდა თუ არა!

— ქართველები ხართ?—მოულოდნელად შეღრიალა მხედარს მშექალამ და უზანგში ჩააფრინდა.

მხედარმა სადავე მოზიდა, ცხენი შეაჩერა და ქალს ზევიდან დახედა.

ქართველები ვართ... შენ ვინა ხარ, დამო?—ჰკითხა მან.

— მშექალა ვარ, მეფის მედროშის საცოლენი.

— დულაბისი?—გაოცდა მხედარი. მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან და ქალს მოგვხვია,—მე ველორ მიცან? ნანიკაანთ თედო.

— პატარა თედო, შენა ხარ, ბიჭო? როგორ დავაგაკეებულხარ, შენ კი შემოგვეყუ!...—ამბობს მშექალა და თქრილით წამოსულ ცრემლებს იწმენდს...

* * *

ქართველთა ბანაკში ზეიმია. ბეჭობზე მოჩანს მეფე ერეკლე, რომელიც ალაფს ათვალეირებს.

ერთი ჯგუფი ერეკება უამრავ აქლემს.

მეორე ჯგუფი ცხენების ჯოგს.
აქეთ მხედრებს ტყვეები მოჰყავთ მეფესთან.
თედოს სამი ჩადრიანი ქალი მოჰყავს.
მხედრები მზიარულად გასძახიან:

— თედო, ეგენი ვინ არიან?

თედო მათ ყურადღებას არ აქცევს და ზნას განაგრძობს.

აი, ეახლა თედო მეფეს. დიიჩოქა და მოახსენა:

— მეფე, თუ ნებას მომცემ, უნდა რალაც გიჭურჩულო უჭრშია.

— რა ვინდა, შე ეშმაკის ფეხო?!—ლიმილით ეუბნება მეფე და ანიშნებს, მოდიო.

თედო ძალიან ახლოს მისვლას მინც ვერ ბედავს. კისერს წაიგრძელებს და რალაცას ჩურჩულით მოახსენებს. ერეკლეს ელიმება, უნებურად მოიხედავს და დულაბას შეათვალერებს, რომელიც მეფის უკან დგას, დროშით ხელში.

— დულაბე, მიდი ერთი იმ ქალს, წინ რომ დგას, ჩადრი ახადე!

დულაბა მიუახლოვდა, ნელა მისწვდა ქალს და ჩადრი ახადა. მის წინ დგას ცრემლებით თვალებდანამული მზექალა.

ლიმილით ვაებადრა სახე ერეკლეს. სიხარულით უციმციიმებით თვალები მეომრებს, სარდლებს...

ვაისმა დაფა-ზურნის ხმა.

აი, დაიჩოქეს ნეფე-დედოფლის გვირგვინებით შემკულმა დულაბამ და მზექალამ.

საქორწინო ღვინო ღვინო ქართველთა ბანაკში.

ისმის ზიმღრა:

„ლაშქრად წასვლა მას უხარის,

ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო.

დაბრუნება და შინ მისვლა—

ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო...“



იშიშვლებს მემორებმა ხმლები, გადააჯვარდინეს, და ამ ლაბლაბა ხმლები
დერეფანში მოდიან დულაბა და მზექალა.

ამეე სიმღერით ბრუნდება ქართველთა ლაშქარი
თავის ქვეყანაში.

მოდან წინ ნეფე-დედოფალი: დუღაბა და მზექალა.
მოყვება მათ მაყრიონი. მაყრიონშია თეთი მეფე,
რჩეული შემორები და სარდლები.

აი, უახლოვდება ქართველთა ლაშქარი დუღაბას
სოფელს.

ცხბის გაღავანზე მოხუცი ყარაულები გადმოდგენ
და მზიარულად ეგებებიან დაბრუნებულ ჯარს.

გამორბიან სოფლიდან ქალები, ბავშვები, დავრლო-
მილი მოხუცები.

მორბის თავშლის სწორებით დუღაბას დედა.

მივარდა თავის შვილს:

— დედა, დაგელოცე!—ეუბნება დუღაბა.

— დამილოცინიხართ. შვილო,—ეხვევა ორთავეს დე-
და, მზექალს კი ეუბნება:—მანინ დავისნა ტყვეობიდან,
ამს კი ვენაცავლე.

— დედა, ჩემი მაყარი თეთი ბატონი მეფეა. მიდი,
ეახელ...

ძველებური, ქართული, გლეხური სახლის წინ, საბა-
ტითი საკარცულზე ზის ერეკლე. მის გარშემო სარდლე-
ბი და აბჯრინი მეომრები დგანან.

დუღაბას დედა მივა და უნდა ერეკლეს წინ დაიჩო-
ქოს. ერეკლე წამოიჭრება, შეეგებება, ფეხზე წამოაყე-
ნებს და მხარზე ეამბორება:

— ღმერთმა ასე ბედნიერად გატაროს, როგორც
მე დღეს ასე გამაბედნიერე, შვილო...—ეუბნება ერეკლეს
დუღაბას დედა.

— ჩემი ბედნიერება ის არის. ჩემი ხალხის ტანჯუ-
ლო დედაც, რომ შეეძლო, თქვენთა შეიღო დახმარე-
ბით, თქვენ გამსახუროთ და ჰკირი ლხინად შეგიცვალოთ.

— ჩემო მეფეე...

— დღეს მეფე მე კი არა, შენი ვაჟი, დუღაბაა.—
შეაწყვეტინა ერეკლემ.—წავიდეთ მე და შენ, ჩემო დე-
დაც, და თაყვანი ვცეთ ნეფე-დედოფალს.

გაისმა დაფა-ზურნის გამყვარი ხმა. ატყდა ხალხში
და ჯარში ტრიამული.

დგანან ძველებური, ქართული საქორწინო გვირგვი-
ნებით შემკული დუღაბა და მზექალა.

იშიშვეს შემორებმა ხმლები, გადააჯვარედინეს და
ამ ლაღაბა ხმლების დერეფანში მოდიან დუღაბა და
მზექალა...




პეპან ბარაკველიძე

ნახ. რ. ცუქურიძისა

ველოსიკლი

ძნელი სათქმელია, რით დამთავრდებოდა ჩვენი უზნის
ბიჭების დაუზოგველი ჩაგვრა ვარეთუბნელ ახმახ-კო-
კას მიერ, რომ სრულიად მოულოდნელად საქმეში
ბუღბუღა კოტე არ ჩარეულიყო.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ვარეთუბნელი ბიჭე-
ბის რისხვამ, ახმახმა კოკამ, საიდანღაც ველოსიპედი
გაიჩინა. ის ველოსიპედი ერთი უზნო, დაწვრილებული



კოკა ანთო, ჩაყანული ძვალტყავა მუშტი შვათამაშა და გვერდელად გახედა კოტეს.

რამ იყო, მაგრამ ახმას-კოკას ძალიან მოსწონდა იმითი თავი და ახლა, გარდა მძიმე მუშებებისა, კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა ჩვენთან. როცა იგი თავის ველოსიპედზე ამხედრებული, გამხდარი მუხლების აცხაცა ქნევით, სტვინით, ზრიალით და უღრიალით ჩამოიქროლებოდა ჩვენს ქუჩაზე, რომელიც ნაშუადღევს, გაკვეთილების შემდეგ, როდესაც მამები სამუშაოდ იყვნენ, ხოლო დედები შინ დიასახლისობდნენ, მთლიანად ჩვენ გვეკუთვნოდა, ყველაფერს მივატოვებდით სოღმე და გუნდად ავიდევნებოდით უკან ახმას-კოკას.

კოკა გულმოდგინედ მიერეკებოდა ველოსიპედს, ხანაღან დამცინავად მოგვხედავდა. ჩვენ კი მივდევდით მტვერში, ხმაურში, ფეხებს ვიძებრვდით ქვაფენილზე და ვეშუდარებოდით ერთხელ მაინც შევევით, ერთხელ მაინც გავეტარებინეთ. ბოლოს, როცა თვითონ დაიღებოდა, ხოლო ჩვენ ქანცავმოცილინი ფეხზე ძლივს ვიდექით, ახმას-კოკა დააყენებდა ველოსიპედს, ზედ ზურგით მიეყრდნობოდა და მკერდზე ხელებს გადაიჯვარედინებდა, როგორც ნამდვილმა ველოსიპედისტებმა იციან. დიდი ხვეწნის შემდეგ ნებას მოგვცემდა თითო შეხებოლით ველოსიპედის საბურავებს,

ბრჭყვიალა ზარს, უანგისაგან დაბორფლილ საპეს. მერე თანდათან გავთამამდებოდით და დაიწყებოდა ხანგრძლივი, დამლაღავი და დამამცირებელი მოლაპარაკება. ველოსიპედზე შეუჯდომის მსურველებს უნდა შეგვეხრულებოდა ახმას-კოკას ყოველგვარი ბრძანება. ქუჩის ბოლოში მდგარ ფარდულიდან ას დათვლაში უნდა მოგვეტანა პაპიროსი, რომელსაც კოკა, უფროსების ჩუმად, მუშში ეწეოდა. ამასთან, თუ ასს ერთიც დააკედებოდა, კოკა არ იჯერებდა, სიმწრით მოტანილ პაპიროსს ფიბეში ჩაიდებდა და ახლა სხვა გარბოდა. უნდა მოგვეპარა აღუბალი სორენას ბაღიდან, სადაც ადვილად შეიძლებოდა შარვალი შემოეგლიჯა ავსა და დაუნდობელ ძაღლს. უნდა დავვიდებოდით ერთმანეთს, რაც, არც თუ იცე იშვიათად, ხელჩართული ჩსუბით მოეგრდებოდა.

ჩვენი ბიჭებიდან მხოლოდ ბუღულუა კოტე არ იღებდა მონაწილეობას ველოსიპედის გამო ატეხილ ორომბრიალში. არ ვიცო, ვინ შეარქვა კოტეს ბუღულუა, მაგრამ ეს სახელი სწორედ ზედგამოტრლი იყო მასზე. კოტეს შეეძლო სტვენით გამოეჯვარებოდა ყოველგვარი ფრინველისათვის, იქნებოდა ეს

მერცხალი, რომელიც მრავლად იყო ჩვენი ხახლების ბანკეში, შაში, რომელიც ალუბლის ხეებს შემოჩვეოდა, ბედურა, თუ შემთხვევით გადმოფრენილი ჩხიკვი. მისი გაიერი შარვლის ჯიბეები, ჭრლი ვეება ქულის ნაწიბურებიც კი ყოველთვის სახეც იყო პურის ნაქცე-ცებით, ფეტვისა და ხორბლის მარცვლებით, რითაც კოტე თავის საყვარელ ფრინველებს უმასპინძლებოდა. მეგობრებს კოტე არახდრის არ გვახვეწებდა ხოლ-მე. გაღასწევდა თავს, თვალებს მინაბავდა და თხელი, პატარა ტურებიდან ამოარაკრავებდა უცნაურ მანებებს. თან ოდნავ ილიმებოდა, ეტყობოდა, თვითონაც მოს-წონდა. ხანდახან უბინდ ამოიღებდა უბრალო ლერწ-მის სალამურს და ახლა მასზე გაიმეორებდა იმ მან-გებს, თან კიდევ ბევრ სხვა რამესაც ააყოლებდა.

რაც ჩვენს ქუჩაზე ახმას-კოკა თავისი ველოსიპედით გამოინდა, კოტეს გალოზა აღარ გავვიწყებია.

როცა ჩვენ ველოსიპედს დავედვით, იგი განზე იდგა, ჩვეულებისამებრ ჯიბეებში ხელუზნაწყობილი, და სვედახუდა ილიმებოდა. ვგრძნობდით, რომ არ მოს-წონდა ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით. ერთხელ კი პირ-დაპირ გვიფარა: მართალია, კოკა ჩემზე ღონიერია, მაგრამ არახოლეს დაეუფოქებ, არც ალუბალს მოვიპა-რავ, არც პაპირის ვუყიდი და არც მაგისი ველოსი-პედი მინდაო.

გულში თითქმის ვეთანხმებოდი კიდევ ბულბულას, მაგრამ, საკმარისი იყო ველოსიპედის გამოჩენა და, ჩვენც ყველაფერი გვაგვიწყდებოდა. ვაკაცურად ვი-

ტანდით ყოველდგვარ განსაცდელს, ვასრუ-ლებდით ახმას-კოკას ერთიმეორეზე უფრო ბოროტ და დამამცი-რებელ ბრძანებებს, რათა ერთხელ მაინც მიგვეთა სანატრელი უფლება.

მოულოდნელად სა-ქმე ხულ სხვანაირად შეტრიალდა. ეტყობა, ახმას-კოკას ვიღაცამ ენა მიუტანა. ერთხელ ველოსიპედი დააყენა, თავისა დიტო მირს გადმოსცვა და ტრო-ტუარზე მდგარ კოტეს მიმართა:

— შენ, ეი, ველო-სიპედზე შეჯდომა არ გინდა?

ჩვენ გავინაბით. კო-ტემ ჯერ ჩვენ შემო-გვხედა, მერე ველო-სიპედს, და ოდნავ გა-ხაგონად თქვა:

— მინდა...

—მაშ, შენებურად დაუსტვინე რადა...

კოტემ ფეხი მოინაცვლა, ჩვეულებრივზე უფრო გა-ფიორდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არ დაუსტვინე!

ახმას-კოკა სახტად დარჩა.

— მაშ, სალამური დაუკარი.

— არც სალამურს დაუკრავ! — იყო კვლავ თავდა-პერილი პასუხი. კოკა აენთო. მან ჩვეანგული, ძვალ-ტყავა მუშტი შეათამაშა და გვერდელად გახედა კო-ტეს. ჩვენ გავინაბით რაღაც საშინელის მოლოდინში, რადგან კარგად ვიცოდით ამ გვერდელად გამოხედვის მნიშვნელობა.

— ამას ხედავ?

— ვხედავ.

— შოდა, გააკეთე, რასაც გეუბნებიან, თორე...

— შენთვის არ დაუტრავა! — ახლა უფრო გაბედუ-ლად უპასუხა კოტემ და უკან დაიხია, იქით, საითაც სადარბაზო შესასვლელის კარი იყო.

ჩვენს თვალწინ საოცარი რამ მოხდა: ახმას-კოკა აშკარად დამოშობაზე წავიდა.

— მაშ, კარგი, ხორენს ბალიდან ოცი ჰერამი მოი-ტანე.

— ამ მოვიტან! — კვლავ წუნარად, მაგრამ ჯიუტად წარმოთქვა კოტემ და დამნაშავედ გაილიმა.



ახმას-კოკას პირი დაელო, თვალზე დაეპყრბა და მოჯადოებელი მისწერებოდა კოტეს.

— გეშინია?

— არაფერიც! მია ხორენას თვითონაც ბერჯერ მოუყო ხილი. ძაღლიც მხოლოდ ჭურღებს ერჩის.

— აბა, პაპირისი მომიტანე... ოღონდ შენი ფულითი ჩვენ დამფრთხალი გხედავდით, როგორ აუღ-ჩამოუღიოდა მეტრად კოკას ჭუჭუიან მისურას ქვეშ, ხოლო მხეცურად დაბერილი ნეცტოებიდან ქშულით გამოსდიოდა მაერი.

— მე ფული არა მაქვს, კიდეც რომ მქონდეს, არ მოგეტან...
კოკამ უტვრად დაიჭყვია, ველოსიპედი ძირს დააგდო და ისკუპა. კოტემ იმარჯვა, ერთი ფეხით შესასვლელში შეასწრო და კარი ცხვირწინ მოუჯახუნა. ჩვენ აქეთ-იქით მიმოვიფანტეთ. ახმახ-კოკა კარგა ხანს ეჯავჯავურებოდა კარებს, იმუჭკებოდა და იქნევდა გრძელ ხელებს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს მოეშვა, ველოსიპედი ააუენა, ზედ გადაებარჯვა, უკანასკნელად კიდეც მოუღერა მუშტი მქედრიდ ჩარაზულ კარებს და ტაბათი დაიძრა.

უტვრად სადარბაზო კარის სარკმელი გაიღო, იქიდან კოტეს თავი გამოჩნდა და მთელს ჭუნაზე გაისმა დამცინავი, შაშვისებური ჭახხი. ახმახ-კოკა შეჩერდა. ჭახხი სტვენაში გადაიზარდა, სტვენა-ჭიკჭიკში, და სულ მალე სარკმლიდან საოცარი ხმები გადმოიღვარა. ჩვენ, თანდათან გამოვდით საფრებიდან და ჩამოვხედით სადარბაზო შესასვლელის კიბეებზე, ზოგიც პირდაპირ ქვაფენილზე ჩაუვდა. კოკამ ველოსიპედი მოაბრუნა, ხელით წამოიყვანა, ნელ-ნელა მოგვიახლოვდა და ფრთხილად კედელზე მიაყუდა. შემდეგ ჩვენიან ჩამოვჯდა.

არაჩვეულებრივი კონცერტი გრძელდებოდა.

ბულბულამ ახლა კარი გააღო, კიბის თავზე ჩამოვჯდა და საღამური მოიმარჯვა,

ახმახ-კოკას პირი დაეღო, თავლები დაეჭუტა და მოვადლოებულნი მისჩერებოდა ჩვენს კოტეს, რომლის პატარა თითებიც მარჯვენად აგვირისტებდნენ ერთიმეორეზე უფრო მომხიბლავ პანგებს.

როდესაც ყველანი გამოვერქვიეთ, კოტე ოფლს იწმინდა ფერმკრთალი შუბლიდან და მორიდებით ილიმებოდა.



კოკამ ხელი გაიწვია და ფრთხილად შევიხო საღამურს. კარგა ხანს ათვლიერა, მერე ტურთან მიიტანა და ჩამბერა. გოქის ჭყვილის წხვაცხი ხმა ამრუშვა. ჩვენ შიშნარევი სიცილი აგვიტყდა, მაგრამ ახმახ-კოკას ჩვენთვის აღარ ეცაბა. მან ცოტა კიდეც აწვალა საღამური და პატრონს დაუბრუნა.

— მოგწონს?— შეეკითხა კოტე.

— ისე რა... დიდი ხანია ისწავლეთ?

— უჰ, აღარც კი მასხვს.

— ვინ გასწავლა?

— მაშამ. მას კლარნეტი აქვს, აი, ასეთი, რკინის, დიდი საღამური. მე ცოტათი იმაზედაც ვუკრავ. პიანინოც შემეძლია... მაშამ თქვა: კარგი ხმენა გაქვს, თუ ისწავლი, კომპოზიტორი გამოხვალ.

— ერთი შენიც! ერთბაშად მოუფერი არ გამოხვიდე!— თქვა დაუდევრად ახმახ-კოკამ და წამოდგა. აშკარა იყო, იგი უკვე ნაზობდა, რომ თავი გავეტოლა. ქედმკლურად ველოსიპედი ჭუნაში გადაიყვანა და უხეშად მოიშორა საქვეშ მობლაუტებულთ თავსუა, რომელმაც დღეს ათიოდე ჭერამით და უკან გამოხეული შარვლით დამისახურა ველოსიპედი. კოკამ ცალი ფეხი პედალზე შედგა და კოტეს მოუბრუნდა:

— თუ გინდა... გავატარებ ველოსიპედი.

ჩვენ შურით შევცქეროდით კოტეს, შეგნაროდით, რომ შეძლო ასე ადვილად მოეპოვებინა ის, რისთვისაც ჩვენ სიწირის ოფლს ვლვკრდით.

ახლა, როცა მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, ვფიქრობ, რომ არცერთი მუსიკოსს, რომელსაც თავის მალღით მომადლებულნიქი ვახმარჯველი აუღია, არ ჩაუღენია მსგავსი რამ, რაც კოტემ ჩაიდინა ჩვენს პატარა, მწვენე ქუნაზე, ხუთიოდე პირდაბებულ ბიჭის წინაშე.

მან თავი ჩაღწა, ზურგი შექცია ველოსიპედსაც. მის თავგასულ პატრონსაც და, ჯიბეებში ხელდებარწობილი, ნელი ნაბიჯით გაჰყვა ქვაფენილს. მალე თვალს მიეფარა მისი ჭრელი ჭედო, იღლიაში გამოჩრილი საღამური და ფართო, განიერი შარვალი.

ახმახ-კოკამ გააფურთხა, ველოსიპედზე შეჯდა, ზედაც არ შეხედა უკან მობლაუტებულ დიეტოს და რახახით დაეშვა დაღმარაზე. მალე ისიც მოსახვევში მიიშალა, რომ შემდეგ აღარასოდეს გამოჩენილიყო ჩვენს ქუნაზე.

პეფა ვესტუნიანი



შინ არ არის
პეტას დედა!
პეტამ მოიწყინა:
აფსუს, ვეღარ
ღაესწრება
პეტა ბიჭი ფინალს...
ამინდი კი ბრწყინვალეა,
მზე ღაფვარდში ბრწყინავს.
თანაც ხელში ბილეთი აქვს,
ბილეთი აქვს წყვილად.
ჰო, ეგ მართლა მწარეთაო!
მეზობელი ამბობს.—
რა თამაში გიცდებაო!
პეტას ნაცვლად ნაღვლობს.
ღაფაცურდა უცებ ბებო,
შეიფუთნა შალში,
— რა ვქან,— ანერ განაცხადა,—
მებრალემა ბავშვი.
მართალია, გულანდილად
განვაცხადებ ამას,
არასოდეს დავსწრებივარ
მე ფეხბურთის თამაშს,
მაგრამ წავალ,
მითუმეტეს,
არ იქნება ცუდი,
ვნახე ერთი,
როგორია,
რა საქმეა ბურთი!..

ა. პარპო




სტალიონზე პლაკატები
ფარგატებს ღა ელაგეს;
„ღინამო“ და „ცეღესაო“,
ლაპარაკობს ყველა.
ბებო დელაგეს:
— შენლო, რომლის
მხარეზე ვართ ნეტა?
— ჩვენ „ცეღესას“
მხარეზე ვართ,—
ეუნბნება პეტა.
მალე ბრძოლა გაჩაღდებო,
გვარდება ბურთი,
მა, გუნდებიც ემოდინ—
გუნდს მომყვება გუნდი.
გაქედლია სტალიონი,—
აღარაა ტყვა,
ოკეანის რყევას ჰგავს
ტრბუნების რყევა.
— ჩვენ „ცეღესას“
მხარეზე ვართ!—
ბებო ფეხზე დგება.
მსაჯი უხტვენს და ბებოა
წამდლუწუმი კრთებო.

შინური კაცი გახლავს
სტალიონზე პეტა,
წამობტება: ბურთი თავით
მიილო, ხედეთო?
— მოთამაშეც მაგას ჰქვია!—
ვოლაც დამცველს აქებს.
უცებ ხალხი ახმაურდა,
ბურთი ბადეს არხევს...
— არა! — ბებომ განაცხადა,—
უხეშობა იყო,
აგრე როგორ შეიძლება—
კამბანი ფიცხობს...
უცებ ბებომ „ღინამოელს“
ღააყარა ტაში.
— ნეტა მაგის რა მოგწონს!—
შეტა პეტა მასინ.
— ნუ მასწავლი შენზე უფროსს!—
გაგულსდა ბები,—
ბურთი როგორც ჩააწოდონ—
შენზე უკეთ ვხვდები!
— ჩვენ ანგარიშს გავსწორებთ!
კარგი!— ბრავოს პეტა;
პეტამ ვერც კი შეამჩნია—
ციდან წვიმა წვეთავს.
ცა ღრუბელმა გაშავა—
ვიც დავიღვეს ამას,
გუჯო წვიმს და გაწუწულო
გახტქერიან თამაშს.
არა ცხრება ჩვენი ბებო
და ჯოუტობს მხნელა:
— სულერთია,
მე „ღინამოს“
მხარეზე ვარ, პეტა!

თარგმნა
მურმან ლიპანიძე

ნახ. მ. ღაუშვილისა



კურსკის გმობა

საბჭოთა
საზღვრო
არმიის

ოქტომბრის შიან დილას, ქალაქის სადგურის მახლობლად მდებარე ქუჩებში უჩვეულო ჩოჩქოლი იყო. აბარგებული ოჯახები ტოვებდნენ ქალაქის ცენტრს, მიდიოდნენ შიშველ და თავდახრილნი. კურსკი რამდენიმე საათით აღრე რომ მოხვედრილიყავით, ამ უჩვეულო სურათის ვერა-ვითარ საფუძველს ვერ შენიშნავდით. არავინ ფიქრობდა უბედურებაზე, ცხოვრობდნენ მშვიდად, აშენებდნენ, ამშვენებდნენ თავიანთ ქალაქს.

ექსკავატორის მემანქანე ნიკოლოზ შერგუენი, რომელიც დილადრიან თაბაშირის ქარხნის ახლოს თხრობს იღებდა, ამ მხრივ გამონაკლისს არ ყოფილა. მაგრამ, მიწის მორიგი ნაჭრის ამოდებისას, მას ელდა ეცა. ის, რასაც თვალით ხედავდა, საუკებით დასაჯერებელი როდი იყო. მიწის ქრილში გამოკვეთილად ჩანდა ჩვეულებრივი საბრძოლო თვისების ორი დიდი ნაღმი, რომელთა აფეთქება ყოველ წამს იყო მოსალოდნელი. ორი ნაღმი! მაგრამ რა იმალება მათ უკან? მემანქანეს ამაზე ფიქრისაც კი ეწინა-და.

... 1943 წლის თებერვალში, გერმანელმა ფაშისტებმა, რომლებიც კურსკიდან დამარცხებული გაბოდნენ, ქალაქის ცენტრში, კიროვის სახელობის რაიონში დიდი ორმო ამოილეს, შიგ 10 ტონა ფეთქებადი საომარი მასალა ჩააწყვეს. ნურაეინ ფიქრებს, რომ ორმო უბრალო საწყობად დარჩა. ფაშისტებმა იგი შენიღბეს, მიწაში ღრმად ჩაფლეს, ხოლო ხაფანგი მიწის ზედაპირის სიახლოვეს დააგეს. მზავგრობის შედეგს მტერი ალბათ აღრე ვარაუდობდა, მაგრამ იღუმალ საფრთხეს თავი 15 წელიწადს არ გამოუჩენია. მემანქანე ახლაც შემხებევით წააწყდა მას, წააწყდა და მთელი ქალაქი აფორიაქდა. ამ სიმძლავრის ფეთქებულ მასალას ხომ ქალაქის მთელი უბნების მიწასთან გასწორება და, რაც მთავარია, ათასობით სიცოცხლის შეწირვა შეელო. ექსკავატორი, საბედნიეროდ, უვნებელი მხრიდან შეეხო ნაღმებს. უბედურება არ მომხდარა... მაგრამ იგი კარზე იყო მომდგარი და ამიტომ შემფოთებული მოსახლეობა მშობლიურ ქალაქს სტოვებდა.

... * * *
ის, რაც შემდეგ მოხდა, საბჭოთა ადამიანების უსასრულო გმირობაზე მეტყველებს. საწყობის ადგილზე აფეთქების ნაცვლად, რაც შექმნილი მდგომარეობიდან თითქოს ერთადერთი გამოსავალი იყო, სხვა გზა იქნა გამოიხსული. დაკარიგებულ ქუჩებში ორი დღის განმავლობაში საბჭოთა არმიელები ფუსფუსებდნენ, მესამე დღეს კი მათ ასობით ჭურვი ქალაქგარეთ გაიტანეს და სპეციალურ ორმოში ააფეთქეს. ესენი საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ დიასამიძის მეომრები იყვნენ, რომლებმაც, თავიანთი ნებით, საკუთარი სიცოცხლე აშკარა საფრთხეში ჩააგდეს და ქალაქი დანგრევისაგან იხსნეს.

11 წლის იყო მიხეილ დიასამიძე, ვანი რომ დატოვა, მაგრამ მშობლიური ადგილის დიდი სიყვარული გამოჰყვა თან.

კურსკამდე დიასამიძემ ცხოვრების დიდი გზა გაიარა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ბაქოში ბიძასთან ცხოვრობდა. აქ დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და შემდეგ არმიის მსახურობდა. ხასნათან იაზონელთა წინააღმდეგ იბრძოდა, ხოლო სტალინგრადში პოლკს ედგა სათავეში და ფონ მანშტინის ჯარბ ძალებს უმკლავდებოდა. ამ ბრძოლებში პოდპოლკოვნიკი დიასამიძე საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

მეთაური თავისი ჯარისკაცებით ბევრჯერ შეზღიმა ხიფათის, მაგრამ ის, რაც კურსკში მოხდა, უჩვეულო იყო. მშვიდობიან დროს, როდესაც ადამიანები მხოლოდ სიცოცხლეზე ფიქრობენ, ძნელია, ვინმე თავისი ნებით



ამაყ კურსკელთა დღევანდელი ობი-დისში (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ურუშაძე, ი. მახალივი, მ. დიასამიძე, დ. მარლიშვილი, კურსკის თაბაშირის ქარხნის დირექტორი ს. ვიშნევი და ვ. ევაშენკო.



სიკოცხელ საფრთხეში ჩაავდოს. პოლკოვნიკისათვის განსაკუთრებით ძნელი იყო თავისი მეომრების ასეთ გზაზე დაყენება. მაგრამ გადაწყვეტილება მტკიცე იყო. თითოეულ მეომარს ღრმად სწამდა, რომ მათზე ზრუნავდა პოლკოვნიკი, აკეთებდა ყველაფერს აუცილებლად. გამარჯვების მორალური რწმენაც სწორედ გამოცდილ მეთაურიდან მოდიოდა. ურთულეს მომენტში მას არ უშტეუნეს ჯარისკაცებმა, მიზანი მიღწეული იქნა.

ადამიანი უტანებდა წყალში რომ იძირება. რამდენიმე წამის განმავლობაში მთელ ცხოვრებას ავლენს თვალს. გურამ ურუშაძემ ქურსკში სხევევად გამოისცადა. თუ როგორ შეიძლება რამდენიმე წანში ცხოვრების მთელი გზის გახსენება. ეს მაშინ მოხდა, როცა სპეციალურ ორბოში ქურეების მთელი რიგი ააფეთქეს. გაისმა ძლიერი გრგვიწვა და თავშესაფარი. რომელშიც გურამთან ერთად სერგენტო ვიქტორ გოლუბენკო იყო, მიწამ აავსო. ის, რაც მაშინ გურამმა იგრძნო. არ შეიძლება ჩათვლილიყო შიშად. მაგრამ ჯარისკაცმა წამით ყველაფერი გათავებულად ჩაავადა.

— ლანჩხუთში ერთხელ ჩასულა მიინკ მომხსრო! — გაუელვა გურამს ფიქრმა. დემობილიზაციას მხოლოდ სამი დღე აკლდა. კიდევ ახალი აზრი წამოტიტრედა, მაგრამ გაბრუნებული გურამი ლეიტენანტის შეძახილმა გამოაფხიზლა...

* * *

დიმიტრი ბარათს ალღელებით კითხულობდა. მოსკოველი პიონერი მარგარიტა ევზნიაკოვა სწერდა:

„მთელს ჩვენს ქვეყანაში შეიტყვეს ქურსკელი მეომრების გმირობის შესახებ. დიმიტრი, წერილს მე თქვენ გწერთ და აი. რატომ: გასულ წელს ვიყავი საქართველოში. რომლის შესახებ ადრე წიგნში წაითხულობთ და გადმოცემით ვიცოდი. ამჟამად კი საკუთარი თვალით ვნახე მომხიბლავი ბუნება. მშვენიერია თბილისი, კახეთი. მით უფრო სასიხარულოა, რომ იქ ცხოვრობენ ისეთი ადამიანები, რომელიც თქვენ ხართ.“

ძნელ მდგომარეობაში ჩავარდა ქიკანელი ბიჭი. ვინმეს ასეთი ბარათი ადრე რომ გამოეგზავნა. პასუხს ერთის მაგიერ ათს მიწერდა. აუცილებლად დაწერილებითა გამოეცნობოდა. მაგრამ ახლა რა ქნას. დღე ერთია, ხოლო წერილი კი ათი მოდის, ყველს გავცნობა სურს, ყველას პასუხი უნდა. დიმიტრიც შებმული - უღელ-

ში“, გამალებით წერს. ამდენი ცნება გია მგონი თბილიდანაა. ნაღვლის ამოთხარზე არ დაუხარჯავს.

თუმცა, ორიოდ სიტყვით ამის შესახებაც უნდა ითქვას. როდესაც საფრთხე განსაკუთრებით დიდი იყო, თბილში მორიგეობით ჩადიოდნენ. აი, დიმიტრმა დანა მოიმარჯვა და ნაღვის მიწისაგან გათავისუფლებას ფრთხილად შეუდგა. მაგრამ შეატყო, რომ ასეც საშიში იყო და ფრჩხილებით დაიწყო მიწის ჩიჩქნა. დიდხანს მუშაობდა. როდესაც მიწას წითელი ლაქები შეამჩნია, მაშინდა მიხვდა, რომ ფრჩხილებიდან სისხლი სდიოდა...

ახლა ეს ყველაფერი წარსულმა წაიღო, ეფრეთორი მარლიშვილი მშობლიურ კუთხეში - ყვარულში დაბრუნებაზე ფიქრობს.


* * *

მომეხალხების შეილებთან ერთად სამა ქართველმა ვაკაცმა სახელმწიველმა მეთაურმა და მისმა ჯარისკაცებმა კურსკის მიწას პოროტი ძალა მოაშორეს, ღირსეულად დაიცვეს საშობლოს სახელი. ამიტომაც, კურსკელ მამაკთა სხვა წარმომადგენლებთან ერთად, გულთბილად შეხვდნენ მათ ქიკანელები და ლანჩხუთელები, საქართველოს კომკავშირის XVII ყროლობის დეგეგატები და თბილისელი პიონერები. საქართველოს მშრომელები.

გიორგი ლაჩუბაძე



ქურსკელი გმირები საპატიო პიონერებად აირჩიეს.




**შენიან
საყაროში
მოაპალი
ღეს იწყება**

დიდი სიმდიდრე იმალება ზღვებსა და ოკეანეებში. ეს მარტო თევზი კი არ არის, როგორც ბევრ თქვენგანს პგონია. არა! ზღვის ფსკერზე ბევრი სხვა სიმდიდრეა, რომლის გამოყენების ადამიანი უახლოეს წლებში შეძლებს.


ახალი ტექნიკა საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ზღვის სულ ახალი და ახალი საიდუმლოებანი. სულ ცოტა ხნის წინ ზღვის ფსკერი დიდ გაკედ გვეჩინდა წარმოდგენილი. გამოირკვა, რომ ეს ასე არ არის. ზუსტი ხელსაწყობით ზღვის ფსკერის ისეთი ადგილები იქნა შესწავლილი, რომლის შესახებ წინათ თითქმის არაფერი იყო ცნობილი. ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში საბჭოთა მეცნიერებმა აღმოაჩინეს უზარმაზარი ქვები, რომელთაც

გრენლანდის ნაპირებამდე არის გადაჭიმული. ასე, ზღვის ფსკერის შესწავლითა და მისი ქანების შემადგენლობის განსაზღვრით, იქ ბევრი ძვირფასი საბადო შეიძლება იქნეს აღმოჩენილი. უშუალოდ ზღვის ფსკერიდან ახლა უკვე იღებენ ნავთს. ევემიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ათი-ოცი წლის განმავლობაში ტექნიკა იძენდა წაბა წინ, რომ ნავთს 100-200 მეტრის სიღრმიდან ამოიღებენ. ამასთან ერთად შესაძლებელი იქნება ზღვის ფსკერიდან ძვირფასი მინერალების შემცველი სილის ამოღება.

მაგრამ ზღვა მარტო ფსკერზე დამალულ სიმდიდრის გამო კი არ არის საინტერესო, ახალი ხელსაწყოები საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ და დავიჭიროთ ბევრად მეტი თევზი, ვიდრე ახლა. რამდენი თევზია ზღვაში? გამოანგარიშებულია, რომ მისი რაოდენობა 18 მილიარდ ტონას შეადგენს. ადამიანი კი წელიწადში მხო-



ლოდ 20 მილიონ ტონას იჭერს. შეიძლება თუ არა ზღვის ამ სიმდიდრის კიდევ მეტად გამოყენება? ცხადია, შეიძლება. ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს. ერთ-ერთი მათგანი არის— ყურეებისა და სრუტეების განაყოფი-



რება. ვინ გაიგონა ზღვის განაყოფიერებაო, იფიქრებოთ თქვენ, მაგრამ გაისხენეთ, რომ ახალგაზრდა თევზები გარკვეულ ადგილებში ცხოვრობენ და, თუ ამ ადგილებში ფოსფორიტებს შეიკრებთ, გამრავლდება პლანქტონი—თევზის ძირითადი საკვები, რომელიც თავის მხრივ დიდად შეუწყობს ხელს თევზის ზრდას. პირველმა ცდებმა ცხადი გახადა ამის შესაძლებლობა. ზღვის ბინადართა გამრავლებამ იმიტაც შეიძლება, თუ მათ უკეთეს საარსებო პირობებს შევუქმნით. საბჭოთა მეცნიერებმა ამ რამდენიმე წლის წინათ შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში გადაიყვანეს თევზი—კარპული. გაიარა წლებმა და ახლა კასპიის ზღვაში უკვე იმდენივე კუფია იჭერენ, რამდენსაც შავ ზღვაში.

საბჭოთა მეცნიერები კიდევ უფრო რთულ ამოცანას ისახავენ. წყნარი ოკეანიდან ატლანტიის ოკეანეში უნდა გადმოიყვანონ და გაავრცელონ თევზი—ტერაპუგა.

ემეგარეშე შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მეცნიერება გადაწყვეტს კიდევ მრავალ სხვა დიდ პრობლემას, მათ შორის: ზღვის მოქცევის ძალის სრულყოფილად გამოყენებას.



ფოტო გ. გერსამიაში

რაზმის ხელმძღვანელი ქარხნიდან

მესამე გაკვეთილის დაწყების წინ მეოთხე კლასში უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. შათირიშვილი შევიდა.

— ბავშვებო!—მიმართა მან პატარებს,—დღეს გაკვეთილების შემდეგ პიონერთა ოთახში შევიკრიბებით—რაზმის ახალ ხელმძღვანელს გავაცნობთ.

— ეინ არის?

— რომელ კლასელა?— გაისმა აქეთ-იქიდან.

პასუხი ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ წამით ყველანი გაოცდნენ, არ ეცოდნენ რა ექვთვათ. თურმე მათი ახალი რაზმის ხელმძღვანელი სკოლაში კი არა სწავლობს, არამედ ქარხანაში მუშაობს. საინტერესოა, როგორია იგი? რას გააკეთებს რაზმში? რით გაართობს ბავშვებს?...

რაზმის ახალი ხელმძღვანელი პირველ შეხვედრისთანავე მოეწონათ მეოთხეკლასელებს. მან ხალისიანად გაუღიმა პიონერებს, გამოჰკითხა სხვადასხვა ამბები: როგორ სწავლობს, რაზმში რას აკეთებთ. შემდეგ უბის წიგნაკი ამოიღო და ჩაწერას შეუდგა: აბა, ვის რისი გაკეთება სურსო?

აი, მაშინ კი გახალისდნენ ყველანი: სათაფლიაზე წაიდეთ, ავტოქარხანა ენახით, მარკები შევაგროვოთ, კონსტრუქტი გავპირითო, ფიზკულტურული შეჯიბრებო...—ისმოდა ყოველ მხრიდან.

კარგი საქმეებით დაიწყო მუშაობა ქუთაისის მე-2 სკოლის მესამე რაზმში მათის ფაბრიკის კომკავშირულმა იუზა ნამჩევამ. ბავშვებს მალე შეუყვარდათ თავიანთი ახალი ხელმძღვანელი; მოუ-

თმენლად მოელოდნენ მის ყოველ მოსვლას,—იცოდნენ, ახალი, საინტერესო წამოწყებით გაახარებდა მათ. თავის მხრივ ისინიც ცდილობდნენ კარგი ნიშნები დეხვედრებით მისთვის.

დიდი ინტერესით დაათვალიერეს ბავშვებმა ქუთაისის მრავალი საწარმო: მათდის ფაბრიკაში საქსოვი დაზგების მუშაობას გაეცენენ, საავტომობილო ქარხანაში ქართული ავტომანქანის „დაბადებას“ დაესწრნენ; მანქანათმშენებელ ქარხანაში—მძლავრი ტუმბოების აწყობას; საკონსტრუქციო კომბინატში—ხილის გადამამუშავების პროცესი ნახეს.

იუზა ხელმძღვანელმა პიონერები სათაფლის გამოქვაბულის სანახავედ წაიყვანა, მათთან ერთად იმზიარულა მთელი დღე, ათასგვარი გამოცანები შესთავაზა გამოსაცნობად პატარებს, შემდეგ ქართული ხალხური თამაშობებით გაართო ყველანი. და განა: მარტო სათაფლიაზე?—გუმბათის ჰიდროელექტროსადგურიც აჩვენა ხელმძღვანელმა თავის პატარა მეგობრებს. იქაც, გზაზეც ბევრი იმზიარულეს.

ორი წელია უკვე რაც მოწინავე კომკავშირელი, მათდის ფაბრიკის მუშა, იუზა ნამჩევამ ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მესამე რაზმს ხელმძღვანელობს. ამ ორი წლის განმავლობაში რაზმის ცხოვრება იმდენად შეიცვალა, იმდენად სახალისო და საინტერესო გახდა, რომ პიონერებს ერთი წუთითაც ვერ წააშორებდნენ იუზა ხელმძღვანელის გარეშე მუშაობა.

გ. მანძაძე



სიმღერა საგზაო ნიშნებზე



პანო მნელი

ნახ. გ. როინიშვილისა

ავტომანქანის მძღოლია ჩვენი ნოდარის მამა; სად არ უვლია, ნოდარიც ხშირად ჰყოლია თანა.

აი, მათ დღესაც, სისხამზე, გასწეის შოვისაკენ... წინ გზატკეცილი კრიალა ბრწყინავდა, როგორც სარკე.

აღმართს დაღმართი მოსდევდა, დაღმართს მოსდევდა ვაკე, ნაირფეადრი ნიშნები ჩანდა იქით და აქეთ.

აგერ, გზა მიიკლანება ხან მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ,— ფრთხილად! ამნაირ ადვილას ბევრჯერ მომხდარა მარცხი.

— ზიგზაგი! — თქვა და ნოდარმა მამას შეხედა ხელათ. მამამ კი მისცა სიგნალი, თანაც სვლა შეანელა.


ასე გავიდნენ მიწდორზე, აქ კი, მოკცათ ლხენა, გზის პირს ყვაილი ჰჰვენიდა, ცას შევარდნების ფრენა.

წინ მანქანები მიდიან, შემხედვრის მოდის ბუერი, გასწროს? ამ დროს გასწრება კარგ შოფერს არ შუფერის.

ამას გვიკრძალავს, იცით რა? აგერ, ისარი ორი: ერთი მშვილდით მოხრილი, მეორე სულმთლად სწორი.

კვანლეს ტრიალი მიწდორი, კვლავ დაღმართი და ხევი, გზა აღარა ჩანს... იწყება ციკაბო მოსახვევი.

აი ნიშანიც!.. ნოდარი ხედავს მოღუნულ ისარს... და მამამ, გასაფრთხილებლად, აქაც სიგნალი მისცა.



მიჰქრის მანქანა... მთიდანაც გრილი ნიავი ჰქრდა; რამდენი ფიქრი ლამაზი აღხუნდა ახლა ნოდარს:

ვაჟა წლები და ჭაბუკი დაუფუღება ავტოს, რომ ამ დიდ გზებზე იაროს, მაშულს სიკეთე ჰმატოს...

ჰყვავდა ირგვლივ მიდამო, მზეც უხვად ჰჰუნდა ნათელს, ატმის ქოლგები ჰჰვენიდა ხვანჭკარას,

ტოლას, სადმელს.

აგერ, ძახილს ნიშანი!.. ეს რაღას ნიშნავს ნეტავ? ჩვენ ხომ ამ ნიშანს ნიადგ ვწერთ და წიგნშიაც ვხედავთ!

აქ კი... ამ გზაზე მარტოხელს, წიგნის და პწკარის გარეთ, რა ესაქმება? ვუსმინოთ, თვითონვე გვითხრას ბარემ:

— სულ ახლოს, აქვე დღევში ჩამოწოლილა ზვავი... როგორც იტყვიან, სიფრთხილეს არა სტიკიავთ თავი,

აქ ყველა მძღოლი ჰკვიანი მეტ დაკვირვებას არჩევს და მარცხის ასაცილებლად დინჯად დაიბერს საჭეს.

გასცდნენ ხიდიკარს... ბარაკონს, შოდაზე დარჩათ თვალი, შეუბანსა და უწერას მიირთვეს მკავე წყალი...

ასე მშვიდობით იმგზავრეს, ლ.გ.ში შევიდნენ მღერით. ტკებოლდნენ, იხიბებოდნენ კაკკასიონის ცქერით.



პატარა შენები

თავარა მუაღდე ადგა. იგი ხახ-
ლის მაღალ ზღურბლზე ჩამოვდა
და ფულის თვლას შეუდგა.—სიგა-
რეტების გაყიდვით რომ შეაგროვო.
გახერხებოდა სპილენძის ფულები,
შილინგები, ორყურთუშის მონე-
ტები... არცერთი გირვანქა! თუნდაც
ორმოცდაათი ყურუში!

ხად გაგონილა! მისი მოგება
ოცდაათ ყურუშსაც არ შეადგენდა.

— სიგარეტები! სიგარეტები!
ამ სიტყვას ყვირილით იმეორებდა
თითქმის... არა, მას უნებლად მარც
ახსოვს მერამდღენად. შეიძლება მარც-
ხედ, შეიძლება უფრო მეტჯერაც.
იმეორებდა განუწყვეტლივ; ავტომა-
ტურად—ავტომატების გაჩერებას-
თან, ბოსტნეულის ბაზარშიც, წინაც
აღ-ღახახსთანაც; ცენტრალურ მოე-
დანზეც, სასამართლის დერეფანებ-
შიც, ტრამვაის ვაგონებშიც... და
ერთხელ, როდესაც გამხდარმა, ფერ-
მკითხალება, გაწამებული სახის კენ-
დუქტორმა მისი დაქერა მოინდომა,
იგი დაძრული ტრამვაის ვაგონიდან
მარჯვად ჩამოხტა ქვედაღმელზე, რა-
თა აუცილნა ხილა, რომელიც აუცი-
ლებლად ხედებოდა წილად.

დილით ადრე, ჩაის შემდეგ, დე-
დამ რაღაც მკაცრად შეხედა მას და
უთხრა:

— ჰასან, შენი სიზარმაცე სიკე-
თეს არ მოგვიტანს! თ, ჩემო შეი-
ლო, წადი, შეუდგეო საქმეს! შენ
სომ როგორმე უნდა იმოგვრო ფეხ-
საცმელისათვის საქმის ფული?


იმ ხანებში ჰასანს შვიდ თუ რვა
ყურუშამდე ჰქონდა შეგროვილი,
მისთვის კი ასე აუცილებელი იყო
ახალი ფეხსაცმელი, რომელიც მის
პატარა ფეხებს დაცვადა სიღისის-
გან დახუთული ქუჩების გავარჯა-
რებული ასფალტისაგან! ახალი
ფეხსაცმელი... მან ფეხსაცმლისათ-
ვის უკვე შეიძინა ვაჭის წითელი,
ახალი ქილა. ახლა ამ ქილას ხაიმე-
ლო ადგილზე ინახავს. იქ ვერავენ
მიავნებს და უფროსი ქმის—აბდულ
მავლის გრძელი ხედლებიც ვერ მიწე-
დება. საქმარისია, აბდულ მავლმა

აზ-ზუბეირა ალი თანამედროვე
სულენული მწერალია. იგი პროგ-
რესული არაბული ჟურნალის—
„აბ-ტარიკ“—ის უახლოესი თანამ-
შრომელია. „აბ-ტარიკი“ („გზა“) მწე-
იდილობის პირველი პრემიის ლაუ-
რეტია და აღიარებულია, რო-
გორც ყველაზე პროგრესული და
დემოკრატიული ჟურნალი მთელს
არაბულ აღმოსავლეთში. მოთხ-
რობა „პატარა ფეხები“ „აბ-ტა-
რიკ“ში დაიბეჭდა 1956 წელს.

მიავნოს მას, რომ მთელ ამ ვაქს
თავის ყვითელ, ბრჭყვიალა ბალთ-
ბიან დიდ ფეხსაცმელებს მონადო-
მებს. იქნებ სჯობს, ქილა შეინახოს
დიდ, ცისფერ თასში, რომელსაც
მხოლოდ განსაკუთრებულ, სადღე-
სასწაულო შემთხვევებში სმარობენ?



ჰასანი სახლის მაღალ ზღურბლზე ჩამოვდა და ფულის თვლას შეუდგა.



დება, რომ მეტს აღარ გაიმეორებს. საჭიროა, უკუვა ასწავლოს ჰამზას! ალბათ მიხვდა ჰამზა, თუ რა ტრიალებდა ჰასანის სულში, და ამიტომ იყო, რომ შურდულივით გავარდა. ჰასანი ყუმბარის სისწრაფით დედუნდა მას. მაგრამ ყველაფერს ბედი უნდა! სახარგო მანქანამ გზა გადაუღობა, ჰამზა კი უკვე გაუჩინარდა დიდი სახლის მიღმა. ჰასანმა მოხერხებულად გადაუბრინა წინ მანქანას და ისევ გამოუღვა ჰამზას.

ახე დაბრუნდა ორი ბიჭი ქალაქის ქუჩებში. ისინი ოფლად იღვრებოდნენ. გამველელ-გამომვლელები ჰკიცხავდნენ და ლაწაღვდნენ მათ. აი, ჰასანს დაუფარდა სიგარეტის კოლოფი და, ახალგაზრდა რომ დაწვდა, ჰამზა უკვე თვალს მიეფარა.

ჰასანმა ამოიხსენოდა და უკან მიიხედა. ის კაფეთთან იყო. მძიმედ დაეშვა პირველსავე სკანზე და დათუთულო, შიშველი ფეხების თვლიერება დაიწყო. მას მოაგონდა ფეხსაცმელი, ვაქსის კოლოფი, ზანდუკი, რომლის უკანაც შენახული ჰქონდა ვაქსი, გაასხენდა დედა და ახლად მავლი... ჰასანმა მშოლოდ ახლა იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა და გულიც ერეოდა. პირი ნერწყვით ჰქონდა სახვე. ბიჭი იფურთხებოდა. ძლივსლა გაახილა თვალები და მოეჩვენა, თითქოს ღრმა ორმოში ვარდებოდა... ვარდებოდა... ვარდებოდა... ბაა!

როდესაც ჰასანი გამოერკვა, გვერდით მისი მუხრე მტოქე—სულეიმანი აღმოჩნდა. სულეიმანს სახეზე მისთვის ჩვეული, ეშმაკური ღიმილი ეხატა.

— განა ჩვენ არ გეუბნებოდით, რომ ჰამზა მანერე? თქვენ კი გაიძახოდით, არა, სახარგებლოაო!

ჰასანი სულეიმანს მიაშტერდა. თვალები საყვედურითა და მუქარით აუგებო. მიწურისაგან კბილები დააკრაპუნა და დასუსტებულმა გასწია მეჩეთისაკენ, რათა მის ეწოში ონკანთან გაგრილებულიყო.

აი, წყალი მიეხსურა მის ალმო-

დებულ სახეს და უცბად სიმსუბუქე იგრძნო. გამხნედა, მის ქანცვაშო-ლელულ სხეულს ენერგო დაუბრუნდა. ის ნელი ნაბიჯით გამოემართა მეჩეთიდან, სახეს სალოთის კალით იშპარალებდა.

— სიგარეტები!.. სიგარეტები!.. არავინ უიღულობს...

— საუკეთესო სიგარეტები! ოფლისა და წულისაგან მის ხალთსაც ფერი ეცვალა.

ჰასანი სახლში დაბრუნდა. დედისათვის ჯერ არაფერი ეთქვა რომ, დედამ შეხედა და უთხრა:

— ჰასან... შენ ალბათ კარგად არა ხარ, შვილო?!

ჰასანმა არ იცოდა, რა ეპასუხა. ის მართლაც ავად. მაგრამ შიშით ვერ გაუშლიდა დედას, ოი რომ აუკრძალავდა სიგარეტების გაყიდვას. მას კი ძალიან სურდა, რაც შეიძლება მალე შეეგროვებოდა ფეხსაცმლის საყიდლად ფული! ახალი ფეხსაცმელი და ვაქსის ქილა ზანდუკს უკან...

დედის კითხვა ჰასანმა უპასუხოდ დატოვა. შეწულებულმა დედამ წამოილაპარაკა:

— არა გიშავს შვილო, ცოტა დაიხვენი!

ჰასანი დაეშვა ლიმონის ნერგის გვერდით მღვარ საწოლზე და სიამოვნებით გაიშოტა. ახე სასიამოვნოა წოლა!

შეხინდა.

წითლი მამალი, რომელიც აკამდე გაფხორილი იყო და ფრთებს იქნევდა, დამშვიდდა. გამხდარმა თხამ გაცვინა ეწოში დაყრილი საზამთროს ქერქი და ნელი ცოხნა დაიწყო, ცოხნაში თხამაც ჩაიძინა, თავი დასარა...

და აი, გამოჩნდა მძინარე ჰასანის ორი პატარა ფეხი... რომელთაც ახალი ფეხსაცმელი ეცვოთ.

არაბულიდან თარგმნა

ო. მარა ქაჯანიამ



ვინ იცის, რამდენჯერ გადაგიკითხავთ ვიფა-ფიფელას მოთხრობები: „შელის ნუკრის ნაამბობი“, „სათაფური“, „ხუნების მფოსნები“ და მრავალი სხვა, რომელთა დაიწერება შექმლბე-ლია.

აღმათ, თქვენს სისარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა იხილეთ რეცისორ ა. ხინთიბის მიერ დაღმუელი ახალი ქართული, ფერადი ნახატი ფიფა-ფიფელას „ჩხიკვათა ქორწილი“ (სტენარი-სიკო დოლიძისა, მხატვარი-ბორის სტარიკოვსკი).

ამ ახალ ფილმში თქვენ შეიძლება ზოგიერთი რამ გეუცხოვთ და გაეცინებთ გათქმეინათ: კი მაგრამ, წიგნში რომ ასე არ წერიათ? სწორია, მცირედი ცვლილებები მართლაც რომ შეუტანიათ სტენარისტსა და რეჟისორს, მაგრამ ეს ცვლილებები გამართლებულია იმუნად, რამდენადაც მეტად მოხდენილად, აზრიაანად მისდევს ვიფის მიერ ასე ოსტატურად აღწერილ ამბავს.


უფრებთ „ჩხიკვათა ქორწილს“ და შექმლბელია არ მოიხიბლით ტყის ბინადართა საინტერესო „პორტრეტები“, იწეზება ეს კეთილი სკვინა თუ ტრახაბა ქოტი, ცბიერი ზელა თუ ბოროტი ყვავი. აგერ, მოუსვენარი კოდალენი და სიძლერად ქვეული ენდბული, მოუსუსტეუე წერობები, ცნობისმოყვარე ურდელდები ყველა ვერთად, ამაყი არწივის მეთაურობით, ქნის ტყის ნამდილი სიმფონიას.

მხატვრები: ბ. სტარიკოვსკის, ნ. პომორცევის, ნ. შალიკაშვილის, რ. მახარაძის, ბ. ხუციშვილის, ქ. ნადირაძის და ნ. კილაშნიძის მიერ ოსტატურად შესრულბულ და გააზრებულ კადრებს სათანადო სიმაღლეზე აყავთ ამ ფილმის მხატვრული ღირსება.

მართო თქვე კი არა, უფროსებზე დიდი საიმფინებია და ირტყისით ადვენებენ თვალს ფილმში მომადარ ყოველ ამბავს, განსაკუთრებით კი ქორწილის სცენას. როგორ არ გავციხებთა მთვრალი წრწუნების ცეკვებზე, მუფუნებისა და ყვანაზის - განდაგახაზე, საერთოდ მივლ ლხინზე, ესე ზუნეშირიალ რომ გეხატებათ თვალწინ.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გამოწვეულს ამ ამბავს ნახატმა ფილმმა, ერთბაიად დიდი საიმფინებია მიანიჭა როგორც ბავშვებს, ისე უფროსებსაც. ეს კი ფილმის ყოველზე დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

ნ. ლინაშვილი



რძეპარია თიკანი

შარშანდელი ზაფხული თუახით გურიაში - სოფელ ხიდისთავში გავატარებ.

სადამოზობიდ ჩვენთან მეზობლები იკრიბებოდნენ და სოფლის ამბავს აყვებოდნენ. ერთ საღამოს მეზობლის ქალმა თაკისი გულისწუხილი გვიამბო: თურმე მის ძროხას, ეს რამდენიმე ხანია, საბალახოდან დაბრუნების შემდგე რძის მიცემა შეუწყვიტა. დილის რძეს კი ჩვეულებრივ იძლევათ, დასძინა მან. ჩვენთან მყოფმა ქალებმა იცოდნენ, რომ მეზობლის ძროხა კარგი მეწველი იყო. საგონებელში ჩავარდნენ და ვერაფრით აუნსნათ ეს ამბავი.

ზაფხული ძალზე ცხელი იდგა და ბავშვები ხშირად დამყავდა მდინარეზე საბანაოდ.

ერთხელ, მე და ჩემი გოგონა მდინარიდან გბრუნდებოდით. უცებ ბავშვმა სიცილი აიტყვა, გავიხედე და რას ვხედავ: ყანისპირზე მოხალე ძროხას პატარა თიკანი მისდგომოდა და გამალბებით წოვდა ძაღმუს.

ძროხა იმ მეზობლისა იყო და მე მიხვდი სადამოზობით რძის შეწყვეტის მიზეზს.

რძეპარია თიკანს, დანაშაულზე რომ უარი არ ეთქვა, უმაღლეს რაით გადავუდღეთ, რის შემდგე მას ქურდობა შეაწყვეტინეს. ახლა მისი გასამართლება თქვენთვის მოვიგინდა პატარა მეგობრებო.

რამაზ იაშვილი
ფოტო ავტორისა





ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მთელმა კლასმა ერთად ნახა კინოსურათი „სამი მუშეკტერი“. თვალგვაბარწყინებული გამოვიდნენ ბავშვები დარბაზიდან. ყოველი მათგანი

თვალწინ. ალიონზე აღვა, თითოს წვერებზე გავიდა ოთახიდან, გულმოდგინედ მოქევა სახლის ყოველი კუთხე და, გამოსადეგი რომ ვერაფერი აღმოაჩინა, ბოლოს საკუქნაოში მატყლის საბენტი ჯობი გამოჩხრიკა; იქვე კონსერვის ქილა იპოვნა, ჯოხს სახელურით წამოაკვა და საფარიკაო დანა გააკეთა.

სკოლის ეზოში ყრიაშული იღვა. ეზოს ერთ კუთხეში გოგონებს ზედ ასფალტზე ცარკით, სწორკუთხედები დაეხაზათ და ბრტყელ ქვას ასკინკილით უჯრიდან უჯრაში აცურებდნენ. ვაყები კი... ეს, გილას ახსოვდა „ლახტი“ ან „ჯორბანა“, ხელში ყველას „ხმლები“ ეჭირა, ზოგს გამოთლილი, გაღამაზებული, ზოგს უბრალო წყნელი, ერთსკი სკამის ფეხი გაერქო ქამარში, იმწამსვე ჩაერთა ამ ყრიაშულში გივი, ჯერ ერთს დეტაკა, მოუქნია „მახილა“ და „მოწინაღმდეგეს“ ზედ შუაზე გადაუშტურია ფანერის ჯობი. ახლა მეორეს უნდა შეზმოლა, მაგრამ დაასწრო




სამი წლის მანძილზე გულმოდგინე წვრთნამ ნაყოფი გამოიღო: სპორტსპირადღობა „სპარტაკმა“ პირველი ხარისხის დიპლომი მიაკუთვნა გივის.

ნა. „ეს ბავშვი ან თვალს მოითხრის ან ფათერაკს გადაეკიდება რამეს“—დარდობდა დედა, მაგრამ მამა-შვილმა თავისი გაიტანა და მეორე დღეს მამის ზურგს ამოფარებუ-

„მუშეკტერი“

დარტანიაონობს ნატრობდა, მასავით მტკიცე მარჯვენას, მამაც ხასიათს... იმ ღამით ძილი გაუტყდა გივი ანდრიადეს. სულ ფარიაოობა აგონდებოდა, მუშეკტერები უტრიალებდა



წინ მდგომმა ცეროდენა ბიჭმა და ზედ თითებზე გადაუქერა მაჯისისხო ჯობი. გამწარებულმა გივიმ პირში იტყუა თითები და პანლური უთავაზა ცეროდენას. ასე, დასიებული თითებითა და გაკლენილი საკონტროლო წერით დამოავრდა გივის პირველი ფარიაოობის გაცეითილი.

გივი ბუთხუზა, მსუქანი ბიჭი იზრდებოდა და როდესაც მამამ ფარიაოობისადმი ბავშვის მისწრაფება შეამჩნია, წინ არ აღუდგა ბავშვის სურვილს და თავდადებული „მუშეკტერი“ ფარიაოობის სექციოში მიიყვა-

ლი გივი საფარიაოო დარბაზის შესასვლელში იღვა. მოხუცმა მწვრთნელმა საეჭოდ ახედ-დახედა ჩასუქებულ; ტანდაბალ ბიჭუნს და მამას ხმადაბლა უთხრა:

— პოო... იაროს. ენახოთ, როგორ იბეჯითებს!

შემდეგ მწვრთნელმა რამდენიმე პირველი დარიგება მისცა: ხელში რაპირა დააკავებინა, კედელზე მიკრულ ბალიშზე ცარკით წრე შემოხაზა და მისი ჩხვლეტა დაავალა.

ეს ყველაფერი სამი წლის წინ მოხდა.




ამ ხნის განმავლობაში გივი საფარიკაო დარბაზს არ მოსცილებია. მეცადინეობა მეცადინეობას მისდევდა და თვითონაც ვერ ატყობდა როგორ იზრდებოდა, ემატებოდა ძალი, მოქნილობა, სისწრაფე. სადღა იყო ის ბუთხუზა, ჩასუქებული ბივი, მხრებში ლალად გაიშალა, 15 წლის ახალგაზრდა ნამძვილ ვაჭკაცს დაემსგავსა; რამდენიმე საქალაქო შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა, თანამიმდევრულად გაიარა ყველა ახალგაზრდული თანრიგი და უკვე დიდ შეჯიბრზე დაიწყო ფიქრი. დედა კი მაინც ყოველდღე ბეჯითად აბარებდა „ნიღბის გაკეთება არ დაგავიწყდეს. თვალებს არაფერი მოსწიოთ“. დრო გადიოდა, მაგრამ არ ჩქარობდა გამოცდილი მწვრთნელი; ასჯერ, ათასჯერ ამეორებინებდა თითოეულ მოძრაობას, აჩვენებდა სიმტკიცეს, გამძლეობას, სისწრაფეს. ასე მოვიდა 1958 წლის იანვრის არდადეგები და მასთან პირველი დიდი შეჯიბ-

რება გივი ერთმანეთს სცვლიდა ქალაქები, სოფლები, ტყეები, ველები. მატარებელი მოსკოვისაკენ მიჰქროდა.

აი, მოსკოვიც. აკვირდება გივი დედაქალაქს და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ადრე ენახოს ეს ქუჩები, სახლები, მოედნები. მაღლ მიხვდა რაშიც იყო საქმე. კინოში, სურათებში, წიგნებში მრავალჯერ უნახავს ყველაფერი ეს, კრემლიც, სტალინიც, მოედნებიც, ხილებიც და ამიტომ ადრევე, მოსკოვამდე შეაჩვია მათ თვალი. პირველი შთაბეჭდილება მომავალ შეჯიბრზე ფიქრმა შეცვალა: ნეტავ ვინ იცნობდა მეტოქედ? სხვები როგორ იქნებიან მომხადებულნი? ფიქრმა შიშიც მოიტანა თან. მევი შევპარა გულში. გამარჯვების იმედი დაკარგა თითქოს.

აი, მოვიდა შეჯიბრის დღეც. გაჩი-



რადღენულ დარბაზში საქართველოს გუნდთან ერთად ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუსეთის, უკრაინის მოფორაკაეები დადგნენ. ამ მაღალ, ენერგულ ვაჭკაცებს რომ გახვდნენ, გივის ნირი შეეცვალა. რატომღაც ყველანი საოცრად ძლიერები იჩვენენ, მაგრამ თანაგუნდულებს რომ გადახვდა და უფროს ამხანაგებს აულელებმა ვერ შეეშინა, თვითონაც იმედი მიეცა, ოღნავ დამწვილდა...

„შეჯიბრი დაიწყო...“
 „ანდრიაჟე — საქართველო!“ — გამოაცხადა მსაჯმა და ათასი უცნობი თვალის წინ გივი საფარიკაო მილიჩე დადგა. აულეებმა გაქარა, გაიარა შეჯიბრის წინა „ცემა-ხელებამ“. გივიმ სწრაფად შეუტია მოწინააღმდეგეს და ზედოზედ რამდენიმე ჩხვლეთა მიაყენა მას. ამას მეორე, მესამე, მეოთხე გამარჯვება მოჰყვა. ბოლოს, ლატვიელ სპორტსმენთან გადამწყვეტ ბრძოლაში, როდესაც პირველობის ბედი სასწორზე დადგა, გივის სისწრაფემ უშვებელ მოხდენილად აიცილინა დაშინის წვერი, უკანასკნელ წაშში დაასწრო მოწინააღმდეგეს და გამარჯვებაც მას დარჩა.

სამი წლის მანძილზე გულმოდგინე წვრთნამ, დაუზარელმა შრომამ ნაყოფი გამოიღო: გივი სამპოთა კავშირის ჩემპიონი გახდაა უმცროსი ასაკის მოფორაკაეთა შორის.

ახლა იგი მერვე კლასში სწავლობს. სპორტზე ნაკლები წარმატება არც სასწავლო საგნებში აქვს. ბეჯითიან, შრომისმოყვარე, და წარმატებისათვის ამა, მეტი რაა საქირო.

ზურაბ ლაშაველი

ფოტო ნ. ბერძინაძე



რი. მოსკოვში, სპორტსაზოვადობა „სპარტაკის“ საკავშირო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ იქნა საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელშიაც გივიც იქნა შეყვანილი.

სამი დღე ფანჯარას არ მოსცი-



კიშპ
პიკუსი

თორღის ღარი

შარდის პილუი

ნახ. დ. ნოღიასი

ფ ლ ა კ ა რ ი

ზღვის შორიხლოს ერთი ტყე იყო. ამ ტყეში მუწად ბნელად და აღამიანებმა მას „მწვანე ღამე“ უწოდეს.

ერთხელ „მწვანე ღამის“ ტყეში უჩვეულო რამ მოხდა. კოდალების პატარა ოჯახის წევრები—მამა იან პიკუსი, მისი მეუღლე პაულა და ვაჟიშვილი პიტ პიკუსი—დღლიდანვე უკაუნებდნენ ნისკარტებს ერთი მაღალი ფიჭვის ქერქს და საუზმედ ხოჭოს მიირთმევდნენ. უცებ მახლობლად ფრთათვითი ფრინველი დაეშვა; მოწითალო ნისკარტი პქონდა, ჯერ ფიჭვის შტოზე შემოვდა, მერე თ რბილ ხავსზე დასკუბდა. ეს იყო ახალგაზრდა თოღია—ღეიღა.

ეს თაღის ღა-მშებთან ერთად ზღვაზე ოამომოდა და სწრაფ დაშვებაში ვარჯიშობდა. ცელქი იყო და ყველაზე უფრო მადლად დაფრინავდა. უეცრად ქარიშხალი ამოვარდა და თოღია შორეულ ხმელეთზე გამოიტაცა. ამ დროს მარჯვენა ფრთა დაუზიანდა და ფრენა ვეღარ შესძლო.

და შა, თოღია ლეილა, დაქანებული და მშვირი, „მწვანე ღამის“ ტყეში ხავსზე წის. ლეილა დადრეშოილა. ირგველ მადლი ხეები დგანან. არ ჩანს ლურჯი ზღვა. ვეღარც ცას ხედავს. მარჯვენა ფრთა კი ძირს ჩამოშვებია და ისევ სტკივია...

სამი კოდალა—მამა, დედა და ვაჟიშვილი—კვლავ გამალებით დაცოცავს ხეზე და აქეთ-იქიდან ათვალეირებს უმწეო თოღიას.

— ეს, სწეული მოხუცი ფრინველია, ფრენა არ შეუძლია!—თქვა მამა იანმა.

— არა, —შეხიბუქა პაულა, —ეგ ახალგაზრდა ფრინველია. ვალამაზებმა სდომებია და ფრთები თეთრად შეუღებავს, ნისკარტი კი—წითელია. ამიტომაც დაუხვია ქარიშხალს და ტყეში შემოუვლია.

— შეხე, დედა, მარჯვენა ფრთის ქვეშ სიხსლო აქვს!—თქვა პიტ პიკუსმა და ლეილასთან მიიჭრა. თოღიამ თავი ასწია და პიტ პიკუსს მადლიერო თვალეში მიაპყრო.

— ფრთხილად, პიტ!—შეუძახა დედა პაულამ, —ვერ ხედავ, თვალეში როგორ ცახავით დღურჯი აქვს, ნისკარტი კი—მტაცებელი ფრინველივით წვეტარნი და მოკაუშებულნი! ეგ რომელიღაც უცხო ფრინველია. დაეხენ, მოკვდეს!

— ამოღი ისევ ხეზე, დაე მოკვდეს ეგ უცხო ფრინველი!—უთხრა მამა იანმა.

სამი კოდალა ისევ აცოცდა მაღალ ფიჭვეზე. კვლავ უკაუნებდნენ ხის ქერქს და საუზმეს ამთავრებდნენ.

ლეილა მარტოღმარტო იჯდა. ფრთა ძალიან სტკიოდა. მაგრამ ყველაზე მეტო ტკივილი მას კოდალებმა განაცდევინეს, —უცხო ფრინველიაო რომ თქვენს ლეილა ფიჭობდა; „მეც ხომ მათხავით ფრინველი ვარქოლონდ ესაა, მათ შავი ფრთები აქვთ, მე კი—თეთრი. ისინი ტყეში ცხოვრობენ, მე—ზღვაზე. ეს საქმოდ დიდი განსხვავებაა, მაგრამ ფრინველი ხომ უნდა დაეხმაროს სხვა ფრინველს. მამ, რატომღა უნდა მოვკვდე მე?“

ლეილას უნდა მტკივანი ფრთა მაღლა ასწიოს, მაგრამ ძალიან სტკივა. ცოცაც, და იგი ხედავს, რომ ფრთა უქვე რბილ ხავსზე უღევს. „აა, —იფიქრა მან, —ეს აღმათ ახალგაზრდა შავმა ფრინველმა გააკეთა“. მალე ისევ ჩაეძინა. უცებ ლეილამ გულში მსუბუქი დარტყმა იგრძნო. გამოღვლია. გვერდით უწის პატარა შავი ფრინველი, წელან რომ მის ფრთის ქვეშ იყო დასკუპული, შავი თვალეში ლეილასათვის მიუპყრია.

— როგორა ხარ?—გშია?—პკითხა პატარა ფრინველ-

მა,—ნუ გეშინია, მე პიტ პიკუსი ვარ,—კოდალა პიტ პიკუსი. მამაჩემს იანი ჰქვია, დედას—პაულა. მე შენ ხატველი მოგიტანე—პიტ პიკუსმა ლილას ორი პატარა ხოჭო დაუხვია წინ.—შენი ხალიჩა, ჩკარა შეგამე, თორემ გაგექცვიან!—უთხრა პიტმა.

თოლია ლილამ თავი ასწია. თავის დღეში არ ეტამა ხოჭო და არც ახლა უნდოდა მისი შეტმა.

—რა გქვია შენ?—ჰკითხა პიტმა.

—მე ლილა მქვია, თოლია ვარ!

—რა არის თოლია?—შეეცინა ახალგაზრდა კოდალა.

—ჩვენ ზღვაზე დაფრინავთ და თევზებსა ეჭამთ. პიტ პიკუსმა ხოჭოებს ნისკარტი წავსვლი და ისევ ლილას ვინ დასვა!—მოირთხა, უკმეღად როგორ უნდა იცოცხო!—უთხრა მან თოლიას.

ლილამ თვალი დახუჭა და სწრაფად გადაუღამა ერთი ხოჭო, მაგრამ ამან იგი ცუდად გასადა.

—გემრიელია, არა? მართლაც რომ კანფეტია!—უთხრა გახარებულმა პიტმა.—ახლა ცოტა ხავსს მოგიტან და კარგად დაიძინებ!

პიტ პიკუსი გახტა, გამოსტა, და ფეხების დიდ ფესვებზე ლილასათვის ბუდე გააკეთა.

—ახლა ბუდეში ჩაგეჭი, ძლიე ნებისა, ლილა!

—გმადლობ, პიტ პიკუს, ღამე მშვიდობისა!

პიტი ხეზე აცოცდა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, წელნელა ჩამოვიდა და ჩურჩულით ჰკითხა:—ხომ არ გშინა, ლილა?

—არა, გმადლობ!

—საქმიანო გაქვს ფრთის ქვეშ ხავსი?

—კი, გმადლობ, პიტ,—უპასუხა ლილამ.

—ღამე მშვიდობისა, ლილა!

—ღამე მშვიდობის, პიტ პიკუს!

დილაადრიან პიტ პიკუსი ბუდიდან ჩუმად ამოსტა და ხილად ჩამოცოცდა. მაგრამ მამამისმა მაინც შეამჩნია და ხტუნვით გამოუდგა. ქვევით, მიწაზე, იგი სწრაფად შეხტა ხის დიდ ფესვზე და ლილას მიესალ-

მა:—როგორ გეშინია, ლილა? ბუდეში თბილია? ფრთა როგორა გაქვს?

—გმადლობ, უკეთა ვარ.—მიუფო თოლიამ.

მოსუტმა პიკუსმა შვილი გვერდზე გაიხმო და მკაცრად ჰკითხა:

—პიტ, ვინ გააკეთა ბუდე?

—მე ხომ არ შემძლო ის ზეით, ჩვენს ბუდეში მომეწვია?—უპასუხა პიტმა.

—სიადამი იცი მავისი ხსელი?—დაუფიქრა მოსუტმა კოდალამ.

—ვეითზე. ის თოლიაა, თევზებსა ეჭამს და ლილა ჰქვია!—წუნარად მიუფო პიტმა.

ეს ცრუობს,—იყვირა მამა პიკუსმა,—ორმოცი წლისა ვარ და არასოდეს არ მინახავს ფრინველს თევზი ეჭამოს, ან თეთრი ფრთები ჰქონოდეს! გირჩევ, შვილო, დაეხსნა მგ ლილა! როცა—ღედა პაულამ შეიტყო, პიტს იმ თეთრი ფრინველისათვის ბუდე გაუკეთებიაო, აღეღდა და უფიქრა:—ამ წუთში უნდა დატოვოს ჩვენი ტყე მაგ საშინელი ფრინველი. არა და, ჩვენ მას მოვკლავთ!

—ღედა!—შესძახა პიტ პიკუსმა,—მე ლილა ბუდეში გადავალ და დავიკავ მას!

—პიტ, ჩემო ერთადერთო, რა გინდა მასთან? იმ საშინელმა ლილამ თავბრუ დაგახვია და დაგლუპა, შვილო! დიდხანს უყურებდა მამა თავის ვაჟს პიტს. მერე მკაცრად უთხრა:—მან, წადი შენს ლილასთან ერთად სადღაც გასურდეს. ჩვენს ბუდეს კი მოშორდი და ნულარც ჩვენს სოფელში დაბრუნდები!

—კარგი წავალ!—უთხრა პიტმა და ხილად ჩამოვიდა. ის, სიხარულით აღნახვებ, ხტუნვით მივიდა ლილასთან. ბუდეში ჩაუფიქრა, მიესალმა და დინჯად უთხრა:

—ლილა, პიკუსები მოკვლას გიპირებენ, აქედან უნდა წახვიდე.

—ვეცი, მიუფო ლილამ.—მე უკვე გამოვცადე ჩემი ფრთა. ახლა კი ფრთხილად გავფრინდები. კარგად იყავი, პიტ პიკუს, გმადლობ!

—მეც შენთან ერთად გამოვფრინდები, ლილა! უთხრა პიტმა.

—ეს შეუძლებელია, პიტ, რა უნდა გააკეთო ზღვაზე?



ლილა ქარივით აიჭრა მაღლა და მერე ისარივით ჩამოვე წყალში.



— მე მინდა ცოტაზე გამოგვე, ბნელი ტყიდან გაგაცოლო!—მოუგო პიტმა.

ლეილამ ცისფერი თვალები მიაპყრო პიტ პიკუსს.
— მაშ, ერთად გავფრინდეთ, პიტ!—უთხრა მან და ორივენი წელ-წელა. გაუღვინნ გზას ტყე-ტყე-სალამოს ტყის ნაპირს მიაღწიეს. ხეებს იქით მოჩანდა მუქლურჯო სივრცე.

— ეს რა არის?—შეკითხა პიტი.
— ეს ზღვაა! უპასუხა ლეილამ.
— რა მშვენიერია ზღვა! ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ ზღვაზე!—უთხრა გამხიარულბუნა პიტმა.

დიდხანს განუმარტავდა ლეილა, რომ კოდლას ზღვაზე ცხოვრება არ შეუძლია. მაგრამ პიტი ისევე ეხვეწებოდა. ლეილამ იგრძნო, რომ მასაც არ ძალუძს პიტის გარეშე ყოფნა. ისევე განაგრძეს ფრენა.

— ახლა კი ვიბანათ და ვიცურათო. ხოლო მერე ჩემი ძმები და დები—თოლიები ვინახულობთ. ჩემთან ახლოს იყავ, პიტ!

ლეილა ქარივით აიჭრა მაღლა და მერე ისარივით ჩაეშვა წყალში.

პიტს სურდა თოლიასთვის მიეხაძა, მაგრამ წყალში იძირებოდა. სახეში ტალღები სცემდნენ.

— რა მოგივია, ჩემო საცოდავო პიტ?—ჰკითხა ლეილამ.

— ო, მე მხოლოდ ვთამაშობდი! რა კარგა ზღვაში ბანაობა! კანფეტოვით ტკბილია!—უპასუხა პიტმა. თან ისე ახველებდა, რომ გარკვევა ჰქონდა, რის თქმა სურდა. ლეილამ გაუღიმა და ჰკითხა:

— პიტ, იბანავებ ყოველდღე?

— რა თქმა უნდა, ყოველდღე ვიბანავებ!—როგორც უნდა იცოცხლო ისე, თუ არ იბანავ?

ლეილამ კვლავ ჩაიყვანა პიტი ზღვაში. პიტი ახველებდა და იფურთხებოდა. როცა ლეილა აშინებდა, რომ პიტს სუნთქვა ეკვროდა, უმალ ნაპირზე გამოჰყავდა. მაგრამ მალე ისევ ჩაათრევდა ხოლმე წყალში და უჩვენებდა როგორ უნდა ბანაობა და ცურვა.

— აი, ბანაობა ამას ჰქვია!—უბნებოდა ლეილა და იცინებდა.

— ზო, საუცხოოა!—ჩურჩულებდა პატარა პიტი.

სულ მალე პიტ პიკუსმა კარგი ცურვა და ბანაობა ისწავლა. რამდენიმე დღის შემდეგ ლეილასა და მის მეგობარს სხვა თოლიების ნახვა მოუწდით. როცა თოლიებმა პატარა პიტი დაინახეს, შეჰყვირეს:—ეს ფრინველი კი არა, შავი ეშმაკია. მან ისეთი ფრენა არ აკის, როგორც ჩვენ! მოდი მოვკლათ!

უცერად ყველანი თავს დააცურნ პიტს. მაგრამ ამ დროს მოფრინდა ლეილა და თავის პატარა მეგობარს გრძელი ფრთებით გადაეფარა.

ლეილამ შესძახა:

— გრცხვენიდეთ! ერთ პატარა ფრინველს ასი ესმით თავს, მხოლოდ იმისათვის, რომ შავი ფრთები აქვს. მაგან მიხსნა მე, როცა, აუღამყოფო, ტყეში ვიყავი! ან თავი დაანებეთ, ანდა მეც მომკალით მაგასთან ერთად.

მხოლოდ დიდი წვალეებით გადაარჩინა ლეილამ თავისი პატარა მეგობარი. ორივენი გასცილდნენ ზღვას. გადაიარეს კორღები და მიაღწიეს „მწვანე ღამის“ ტყეს. იქ, ტყის ნაპირას, დასდნენ დაქანცულნი და დაღვრემილნი.

—ვის რა დაეშავეთ? რატომ უნდათ ჩვენი სიკვდილი?—აღმოხდა პიტ პიკუსს.

— ვისთვის რა დაგვიშავებია!—თქვა ლეილამ.—მხოლოდ ესაა, რომ ჩვენ მეგობრები ვარ, მეგობრობა კი ღამაში და კარგია. ნუ სწუხარ, ჩემო პატარა პიტ, მეგობრობა ძალას მშატებს კაცს!

დილას პიტი ფიჭვზე აცოცდა და ლეილას ბევრი პატარა ხეო მთუტანა საუზმედ. ასე ტკბილად ცხოვრობდნენ ისინი ლელიანში, „მწვანე ღამის“ ტყის განაპირას.


ხანდახან, ღამით, როცა მღელვარე ზღვა ლელიანამდე აღწევს, მოჩანს, თუ როგორ ცურავს ტალღებში ორი ფრინველი: ერთი დიდი და თეთრი, ხოლო მეორე — პატარა და შავი. ტალღები არწვევენ მათ და ჩუმ ტკბილ სიმღერას უგალობენ. ესაა სიმღერა მეგობრობის და სიყვარულისა.



გერბანულიდან თარგნა
გივი ციციშვილი



ქ რ ო ს ვ ო რ დ ი



პირიზონტალურად: 4. ქართული საბავშვო ჟურნალი; 5. ქართველი მწერალი; 10. ცნობილი ჩეხი მწერალი; 11. წყალგარინილი ამერიკაში; 12. სამლოცველო; 13. სახელმწიფო აფრიკაში; 15. სათევზაო იარაღი; 17. საცალფეხო გზა; 18. საბჭოთა საბავშვო მწერალი; 19. მუსიკალური ინსტრუმენტი.

ვერტიკალურად: 1. კურორტი საქართველოში; 2. მდინარე ციმბირში; 3. მდინარე საქართველოში; 6. რუსი პოეტი; 7. ნახევარკუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 8. ხეობა საქართველოში; 9. დედამიწის ჩრდილოეთის პოლარული ზონა; 14. ქალაქი ინგლისში; 16. სახელმწიფო აპენინის ნახევარკუნძულზე; 17. მდინარეზე გადასვლის საშუალება.

3. ნიჟოლავიზილი

შ ა რ ა დ ე ბ ი

1
ფართო გზა და კავშირი
შეკრიბე და ნახე,
შენ მიიღებ, ყმაწვილო
თვით ამ ლექსის სახელს.

2
უარყოფასთან დასტური
რომ შეაერთო რიგით,
მაშინ არსებთან სხელად
გადაიქცევა იგი.

შ. ამირხანაშვილი

გ ა მ ო ც ა ნ ა

დიდ დავიერებას არ ითხოვს,
არის უბრალო თავაში,
დაფიქრდით, გამოიკითხოთ
რას უდრის კუთხე კვადრატში?
8. ირემბავშილი

ენის გასატყეპი

1
რიონი ნარიონალში
ნიორი ნანიორალში.

2
ჩემი თხაი რქაგრებილი.
შენსა თხასა რქაგრებილსა
რას ერჩოდა. რას ებრძოდა.
რას ერქაგრებილებოდა.

3
ბაყაყი მყაყე უაობში
ბაყბაყებს ბაყბაყ მღვევიით.

4
თეთრი თრიოთინა
თეთრ რთვილზედ თრთოდა.

5
ქიკია ქიქინაქე
ქიშკართან ჭრიქინას
ქრილობას ქიქიეთ უხვევდაო.

აასუნი „პიონერის“ № 2-ში მოთავსებულ ბასართობზე პასუხი „ქროსვოკრდზე“

პირიზონტალურად: 5. როსტოვი; 7. გალილეი; 8. ინლონეზია; 11. „ავარა,“ 14. ატამი; 15. ჰამლეტი; 16. ლობიო; 17. აფენი; 20. ალუბალი; 22. რიონი; 23. ირანი; 26. ტრიბუნალი; 27. ეერხენე; 28. გაიდარი.
ვერტიკალურად: 1. ალენი; 2. სტატია; 3. პოლტავა; 4. რეფორმა; 6. კუნძული; 9. ორბელიანი; 10. სტალინი; 12. დარიალი; 13. სტაფილო; 18. იბარური; 19. პირენეი; 21. ანანური; 24. არსენა; 25. ალმასი.

მასუხი თავსატეხზე „აბა, გამოიცანია“

პასუხი „ნახლურ გამოცანებზე“


1. ბაყაყი; 2. მავიდა; 3. ღორი; 4. სიმინდის ტარი; 5. ბატის ფრთის კალამი; 6. წურბელა.

რ ე ლ ა კ ც ი ა შ ი შ ე მ ა რ ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი
ა გ ტ რ ე მ ს ა რ უ მ რ უ ე ლ ე ბ ა ე

ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 3, 1958
Тбилиси, Пилеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლანხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85
შე 02036, ტრ. 18.500, ხელმოწ. დასაბ. 12/III-58 წ. სტამბის შეჯ. № 149, გამოც. შეჯ. № 91
საქ. კ. ც. კ-ის გამოცემლობის პ/კომბინტი „კომუნისტი“.






ნახატი გ. კასრაძისა


თემა გ. ჩიქოვასა



ნახატი - ხუმრობა ჟურნალიდან "გესიოლი კარტინი".



თავგებობა ტარი-ჟურნალიდან "იუნოსტი".



ორი უსიყვრო ხუმრობა

გაზეთიდან "ღერა ლენგე პიონირი".

